ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 70

შაბათი, 7 მაისი

1877—1905

№ 70

შაბათი, 7 მაისი

გაზეთის ფასი დამატებით: წლიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверіа“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედ. საზ.-ბის სახლში.

ტელეფონი № 922.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“.

1905 წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: „ივერიის ბიბლიოთეკა“, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული სურათები და ილლუსტრაციიები.

გაზეთის ფასი: 1 აპრილადან წლის დამლევამდის 7 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც პრემიის უკვე დარიგებულ პირველ წიგნს მოისურვებს, 50 კაპ. უნდა გამოგზავნოს მის ფასად.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედიტო საზოგადოების სახლში (მესამე სართულში).

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверіа“.

სახაზინო თეატრი.

კვირას 8 მაისს ვლ. ალექსი-მესხიშვილი, ქართველ არტისტების დახმარებით, გამართავს წარმოდგენას; წარმოდგენილი იქნება

პირველად ახალი პიესა

I

კაკლობრიობის

კეთილის-მყოფელნი

პიესა 3 მოქ. ფილიპპისა, თარგ. ვ. გუნიასი.

II

არც აქეთ, არც იქით

ვოდევილი 1 მოქმ., ვ. გუნიასი.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ტასო აბაშიძე, ნ. დავითიშვილი, ჯავახიშვილი, ნ. საფაროვისა; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვლ. ალექსი-მესხიშვილი, ვ. გუნია, შათირიშვილი, შალიკაშვილი, ივანიძე, იმედაშვილი, გვარამე და იორდანიშვილი.

(4—უ.—2)

არტისტიულ საზოგადოების თეატრი.

ორშაბათს, 9 მაისს, ქართველ მუსიკა-სიმღერის მოყვარულთაგან წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულს ენაზე.

სევილიელი დალაქი

ოპერა 2 მოქმ., მუსიკა როსსინისა, თარგ. ვ. გუნიასი.

2—უ.—1)

„კავკასიის ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა საზოგადოების“ სახსრის გასაძლიერებლად და შილლერის გარდაცვალებიდან ასის წლის აღსანიშნავად არტისტიულ საზოგადოების საკონცერტო დარბაზში კვირას, 8 მაისს, შუადღის $12^1/_2$ საათზე, გაიმართება

ლიტერატურულ-მუსიკალური დილა.

მონაწილეობას იღებენ მსახიობნი საიმპერატორო თეატრებისა: ქ-ნნი პაპაიანი, პუგინოვა, ბ-ნნი: დონსკოი, გორევი, თავ. ბარიატინსკი, დერჟავინი, კაპანაკოვი, კნოტი, ნელიდოვი და ფიურტი. ბილეთები იყიდება მხოლოდ არტისტიულ საზოგადოების კასსაში.

(4—უ—2)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. უ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ამეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

გ. ა. თარხანოვი—1—$1^1/_2$ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ექიმი ქალი ა. ე. შჩერბინინა—$1^1/_2$—2 საათ.—ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ს. ტ. არშანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს (მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი ქ. გძელიშვილი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოზის (№ 32) და ხიდის ქ. №) 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი № 13.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 აათ., გარდა სამშაბათისა.

ვაწაძე სფირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბაროնის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 საათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლი № 157.

ბურჟუაზიული ტაქტიკა.

მკითხველი გუშინ წაიკითხავდა ჩვენს გაზეთში „მშაკის“ ბანაკიდან გამოსროლილ აღელვებულ წერილს. ეს წერილი ძალიან საგულისხმიეროა და ფრიად დამახასიათებელი იმ ბანაკისა და გაზეთისა, სადაც იგი დაიწერა და დაიბეჭდა. ეს განგრძობაა ძველის ტაქტიკისა, რომელიც ყველას საკმაოდ გვაქვს გაცნობილი და ნათლადაც დანახული... სომხის ბურჟუაზია ძალიან ებღაუჭება ამ ტაქტიკას და დარწმუნებულია, რომ მის შემწეობით,—როგორც წინად, ისე ახლაც—ფონს გავა და თავის მხარეზე მიიმხრობს სომეხ ხალხის სიმპატიასა და თანაგრძნობას. იგი იცავს თავის ბურჟუაზიულ ინტერესებს და ამავე დროს ხალხს არწმუნებს, რომ ქომაგობს „ეროვნებას“ და ებრძვის მისგანვე გამოჩეკილ „ეროვნულ მტრებს“. წელიწადი ისე არ გავა, ამ ბურჟუაზიამ ისეთი რამ არ გამოიგონოს, რაც სხვა ეროვნებათა უკმაყოფილებასა და უსიამოვნებას გამოიწვევს. შემდეგ კი ამ ხელოვნურად აღძრულ უკმაყოფილებით თვითონვე სარგებლობს,—სომეხ ხალხს მოხერხებულად უქადაგებს: აი, ხომ ხედავთ,—ჩვენ, სომხებს, როგორ გვებრძვიან და გვდევნიანო. იწყება აუცილებელი კამათი, რომელსაც ბურჟუაზია ისეთ ხასიათს აძლევს, რომ ზოგი მდაბიო სომეხი მკითხველი ეჭვში შედის და გულში გაივლებს,—იქნებ აქ მართლა ეროვნული დევნა და გაუტანლობა იყოსო. ეს ეჭვიც კი ხელსაყრელია ბურჟუაზიისთვის და საკმარისია მისთვის, რომ თავი უფრო გაბედულად წამოჰყოს და თავი ეროვნების მარილად დასახოს.

მაგალითები გნებავთ? ასეთი მაგალითები მრავალთ-მრავალია ჩვენს ცხოვრებაში. გაიხსენეთ, თუნდა, ის განხეთქილება, რომელიც წარმოსდგა ტფილისში საქალაქო თვით-მართველობის ნიადაგზე. კანონი მხოლოდ იმათ აძლევს საქალაქო საქმეებში მონაწილეობის მიღების უფლებას, რომელთაც დიდი უძრავ-მოძრავი ქონება აქვთ. ბურჟუაზია კი ის საზოგადოებრივი კლასია, რომელსაც ეს დოვლათი ბლომად მოეპოვება. სოლოლაკელნიც ამიტომ გაბატონდნენ საბჭოში და ყველა სხვა ეროვნებათა წარმომადგენელნი იქიდან გამორეკეს. არ ყოფილა არას დროს ისეთი შემთხვევა, რომ რომელსამე მათგანს დაეგმოს არსებული შეს-წყობილება და ეცნოს საჭიროდ და სასურველად საქალაქო საქმეების მართვა-გამგეობის დემოკრატიულ საფუძველზე მოწყობა.

რასაკვირველია, სხვა ერებს სასიამოვნოდ არ დარჩებოდათ ასეთი გამორიყვა და უხმოდ დარჩენა. გაღვივდა უკმაყოფილება, გაიზარდა უთანხმოება... ბურჟუაზიასაც ეს უნდოდა: მან თავისი თავი დევნულად დასახა და სომეხ ხალხს დევიზად მისცა,—ჩვენთან შემოკრბით, იერიშით მოდიანო. მართალია, საქალაქო საქმეების სფერიდან მდაბიო, ქონებას მოკლებულ სომხის ხალხიც ისეა გამორიყული, როგორც ქართველი ან თათარი, მაგრამ სოლოლაკის ბურჟუაზიას სწორედ ეროვნულ ჰანგებზე უნდოდა მოეწყო თავისი ბატონობა და ამიტომაც „ხალხის“ სოლიდარობა და თანხმობა ფრიად და ფრიად ესაჭიროებოდა... ბრძოლა, რომელიც არსებითად უნდა ყოფილიყო კლასობრივი, გახდა,—ბურჟუაზიის ტაქტიკის წყალობით,—ეროვნული. ამ გარემოებამ შესამჩნევად დააბრკოლა სომეხ მუშა-ხალხის კლასობრივი შეგნება და თვით-ცნობიერება.

ასეთისავე ხასიათისაა ის საგანი, რომლის გამო დღეს „მშაკი“ გრძელ წერილებს ბეჭდავს და „ქართველ ნაციონალისტების“ წინაშე სომეხ ხალხს ქომაგობასა და მფარველობას უწევს. საგანი ისეთია, რომ ყოველ გონიერ ადამიანს გაუკვირდება, როგორ შეიძლება იგი ვინმემ საკამათოდ გაიხადოს და ეროვნულ განხეთქილების საშუალებად იხმაროს. ჩვენ ამ საგანზე რამდენიმე წერილი გვქონდა და აქ ვრცლად აღარ გავიმეორებთ. მოკლე ამბავი ეს არის:

სომხის ბურჟუაზია თხოულობს, რომ ოსმალეთიდან გადმოსულ და გადმომსვლელ სომხობას ამიერ-კავკასიაში ნადელები მიეცეს და საცხოვრებელი ბინა გაუჩნდეს. ცხადია, ვერც ერთი ცოტათი მაინც ზნეობისა და ადამიანობის მქონე კაცი ვერ იქნება იმის მომხრე, რომ რომელიმე ხალხი ან ჯგუფი ადამიანთა უფლებებს მოკლებული იყვეს და არსებობის პირობები მოსპობილი ჰქონდეს. ეს ჩვენ ,,უმშაკოდაც'' კარგად ვიცით, რადგან ჩვენს პრინციპებსა და შეხედულებას ბურჟუაზიულ ლიბერალიზმის წყაროდან არ ვეზიდებით.

საცილობელი საგანი ეს კი არ არის, არამედ ის, თუ რამდენად შესათანხმებელია სომხის ბურჟუაზიის მოთხოვნა კავკასიის მკვიდრ ხალხთა ინტერესებსა და ცხოვრების პირობებთან. არავინ არ არის წინააღმდეგი, რომ, რაც დედამიწაზე ხალხებია, ყველანი კარგად და ბედნიერად ცხოვრობდნენ და, თუ სომხებს, მაგალითად, ოსმალეთში სდევნიან, ჩვენ სულითა და გულით თანავუგრძნობთ და იქაურ მტარვალობას ვგმობთ. მაგრამ ეს თანაგრძნობა პრაქტიკულად ასე ვერ გამოიხატება, რომ ვითომ იქიდან მოსულთ აქ ადგილები ვაძლიოთ და ის, რაც იქ დაჰკარგეს, ჩვენ აქ შევუვსოთ და აკუნაზღაუროთ. ვერ გამოიხატება ის თანაგრძნობა ამ სახით იმიტომ, რომ თვით კავკასიაში ადგილის სივიწროვეა და ამ ვიწრო ადგილზე ცხოვრების უფლება, ყველაზე უწინ, იმ ხალხებს აქვთ, რომელნიც მკვიდრ ხალხებად ითვლებიან და ისტორიულად აქ ფეხ-მოკიდებულნი არიან. ამ კვიდრ ხალხებში ვითვლებით არა მარტო ჩვენ, ქართველები, არამედ კავკასიის სომხები, თათრები და სხვანიც. თუ გადმოსახლებულ რუსის გლეხებისთვის აქ „ადგილის ვიწროობაა“ და თვითონ სომხის ბურჟუაზია იმ „გადმოსახლების“ წინააღმდეგია,—ულოღიკობა იქნება, მეორე შემთხვევაში „ვიწროობა“ „სიფართოვედ“ შესცვალოს და თავის ტომის გადმოსახლებულთათვის მიწის ძებნა დაიწყოს.

ეს ვთქვით ჩვენ. „მშაკი“ უკმაყოფილოა და თავის ბურჟუაზიულ ულოღიკობას ვითომ ჩვენის „ნაციონალისტობით“ ამართლებს. ნუ გგონიათ, მთელი კავკასია საქართველო იყოსო,—ჩვენ კავკასიაში დასახლება ვახსენეთ და ცალკე საქართველო არც კი გვითქვამსო. ვიცით და სხვებმაც იციან, რომ ქართველი დღეს იმ ადგილსაც კი არ ახსენებს სავსებით თავის სამშობლოდ, რაც ნამდვილად არის, არა თუ საზღვრები გასწიოს და საქართველოდ მთელი კავკასია გამოაცხადოს. მაგრამ, გვგონია ჩვენ, ქართულ პრესსას შეუძლია აღნიშნოს ის საკითხებიც, რომელიც კავკასიის სხვა ხალხებს შეეხება. სანამ სომხის ბურჟუაზია ამგვარ ,,ტეზისს' შეიმუშავებდა, უნდა გაეგო, თუ რას იტყვიან ის ხალხები, რომელთაც იმ ტეზისის სისრულეში მოყვანა შეეხება... თათრებს კი, მაგალითად, როგორც ვიცით, პეტიციის ავტორნი არ დაჰკითხებიან...

სომხის ბურჟუაზია ასეთ მარტივ საგანს მაინც საკამათოდ ჰხდის, საკითხს აბნელებს და ქართულ პრესსას სომეხ ეროვნების მტრობასა და დევნას აბრალებს.

ცნობილი ტაქტიკაა... მისს სიმართლეს ამ ბრალდების განხილვით ერთხელ კიდევ გამოვცდით...

საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული საარჩევნო უფლება.

განსაკუთრებულ კომისიას მინდობილი ჰქონდა საარჩევნო კანონების შემუშავება, მაგრამ ეს შემუშავება გაძნელდა და დაგვიანდა... ჯერ დანამდვილებით ვერ იტყვის ადამიანი, როდის ან რა სახით იქნება ის კანონი გამოცემული...

ხოლო ცხოვრება არ იცდის... ცხოვრება გადაჭრით ითხოვს წყობილების გამოცვლას და საზოგადოებამ ახლავე უნდა გამოარკვიოს, ვის ექნება მინდობილი წარმომადგენელთა არჩევა შემდეგში?

ამის გამორკვევა ახლავე არის საჭირო, მაგრამ სად არის პასუხი?..

პასუხს მოელის ხალხი... პირველად ამის პასუხს ითხოვდა ხალხის მხოლოდ მცირეოდენი ნაწილი, მაგრამ შემდეგ მოძრაობა უფრო ძლიერი შეიქმნა, მოედო ხალხის სხვადასხვა ნაწილს, სოფლებში გადავიდა...

პასუხიც საზოგადოებამ გამოსთქვა უკვე. ეს პასუხი გადაჭრილია. საზოგადოების სხვადასხვა ნაწილმა უკვე გამოსთქვა სურვილი, რომ ხალხს საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული საარჩევნო უფლება ჰქონდეს მინიჭებული.

ეს გადაწყვეტილება თანდათან ვრცელდება ხალხში. ქარხნების მუშებმა უკვე მიიღეს მოხსენებული გადაწყვეტილება და ეჭვიც არ უნდა იმას, რომ ხალხის უმეტესობაც ისურვებს მასვე.

ამ გადაწყვეტილების ძალით, უნდა მიენიჭოს ყოველივე უფლება ხალხის უმეტესობას და ამიტომ იგია ნამდვილი დემოკრატიული.

«ჩვენი ქვეყანა დიდი და მდიდარია, მოდით და გვიპატრონეთო“,—ამას ამბობდა დღემდის ხალხი და გარეშეებს, უცხოელებს იბატონებდა. ახლა ,,ბატონების'' საძებნელად გარედ სიარული არ არის საჭირო. ბატონი აქვეა, ბატონი—ხალხია, ხალხისაგან არჩეული წარმომადგენელნია. ეს ,,ბატონობაც'' არ არის საჭირო... ყველამ უნდა მიიღოს მონაწილეობა სახელმწიფოს მართვასა და გამგეობაში, ყველას უნდა ჰქონდეს საარჩევნო უფლება მინიჭებული და ამნაირად ყველა შეიქმნება თავისი ბატონი და მოისპობა ერთმანეთზე გაბატონება.

სხვანაირად ხალხის დამშვიდება არ შეიძლება. ხალხი უნდა დარწმუნდეს უთუოდ, რომ ყველა მისი საქმე რიგიანად იქმნება გამორკვეული, რომ არ იქმნება დატოვებული უყურადღებოდ მისი სხვადასხვა საჭიროება, რომ საერთო ცხოვრებისთვის იქმნება შესაფერი პირობები შემოღებული...

სახელმწიფოში ყველას უნდა ჰქონდეს თანასწორი უფლება, ყველას თანასწორი მოვალეობა უნდა ჰქონდეს და კანონი, ყველასათვის სწორი, ყველას თანასწორად უნდა ხვდებოდეს უთუოდ...

საარჩევნო უფლება თანასწორი, ფარული და პირდაპირი...

ამნაირ საარჩევნო უფლებას მოითხოვს ცხოვრება. ეს არის საფუძველი, რომელზედაც უნდა აშენდეს ახალი წეს-წყობილება.

მანამ განსაკუთრებული კომისია თათბირობს თავისთვის,—ეს აზრი, ზემოხსენებული ფორმულა, რუსეთის ყოველ კუთხეში ფეხს მოიკიდებს უთუოდ, ყველასათვის სასურველი გახდება.

ამნაირ საარჩევნო უფლების მოპოებას მიზნად დაისახავს ყოველივე გონიერი ადამიანი და, რაკი ხალხის უმეტესობა სწორედ ამნაირ უფლების მოპოებას ისურვებს,—მიიღებს კიდეც, ვინაიდან გამოფხიზლებულ ხალხის საერთო სურვილს წინ ვერ აღუდგება ვერავინ.

ეს უფლება აუცილებელია ყველასთვის და წარმოუდგენელია, რომ ხალხმა ამ უფლების მოპოებაზე განაცხადოს უარი.

ამიტომ ახლავე ვიცით, რომ, ასე იქნება თუ ისე, ხალხი ამ უფლებას მიიღებს შემდეგში უთუოდ.

რა სახსენებელია აქ რეფორმების სიძნელე? როგორ იქნება ლაპარაკი იმაზე, რომ ეს რეფორმა თანდათან შემოვიდეს, ნაწილ-ნაწილად,—აქ საქმის გადაფაჩუჩება, მისი გადადება არ შეიძლება.

ამ რეფორმას სტიქიონურ ძლიერების მოითხოვს ხალხი და ამ ძლიერების გაჩერება არ შეიძლება, არ შეიძლება იმიტომ, რომ იგი ყოველსავე დაბრკოლებას დაარღვევს მაინც.

„ჩათრეულს ჩაყოლილი სჯობია ყოველთვის“!

ყოველსავე სიძნელეს უნდა სძლიოს ადამიანმა! ცხოვრების სრული განახლებაა საჭირო, და ეს განახლება შეუძლებელია, სრული საარჩევნო უფლება თუ არ მიიღო ხალხმა.

ეს ფორმულა მარტივია და ამიტომ ადვილი შემოსაღები. ამ ფორმულამ უნდა უზრუნველჰყოს უმეტესობის ინტერესები, რომელსაც დღემდის ფეხქვეშ სთელავდა უმცირესობა. დიადი მიზანი, თანასწორობა, ყველასათვის სასარგებლო და მასთანვე მარტივი სურვილია...

საარჩევნო უფლება უნდა იყოს **საყოველთაო.** არ არის საჭირო ამომრჩეველთა ჯგუფებად დაყოფა, არ არის საჭირო სხვადასხვა წოდება, კლასსი, სარწმუნოება... თავისთავად ირღვევა საზოგადოების დამქსაქსველი სხვადასხვა ზღუდე, —ყველა წოდების, ყველა კლასსის წარმომადგენელს, ყოველისავე სარწმუნოების მიმდევარს ეძლევა საარჩევნო უფლება. ყველას შეუძლია მიიღოს მონაწილეობა წარმომადგენელთა არჩევის საქმეში, ყველას შეუძლია თვითონაც იყაროს კენჭი, ყველას აქვს უფლება ხალხის წარმომადგენელიც შეიქმნეს. საჭიროა მხოლოდ იმის გადაწყვეტა, თუ რამდენი წლის ადამიანი ითვლება სრულწლოვანად და ეგეც საკმარისია... რა საჭიროა სქესების გარჩევა, ქონებრივი ან სხვა რამე ცენზი,—ყველა თანასწორია სახელმწიფოში!..

რა ადვილი ხდება მაშინ საარჩევნო სიების შედგენა! რამდენი ნიჭიერი ადამიანი გამოგვიჩნდება. როგორი ცხადი იქმნება ყველასი საარჩევნო უფლება, როგორი თანასწორობა შემოვა ხალხში!..

ამბობენ, ბევრმა თუ მიიღო მონაწილეობა არჩევნებში, ხმები განაწილდება და ძნელი შეიქმნებაო ერთ რომელისამე პირის არჩევა წარმომადგენლად. მართალია! მაგრამ ხმების განაწილება, რამდენისამე პირის დასახელება ხომ იქაც არის, სადაც მხოლოდ რამდენიმე პირი იღებს მონაწილეობას არჩევნებში...

ამისი მოსპობაც ხომ ადვილია. ჰქონდეს ხალხს თავისუფალ აგიტაციის უფლება, შემოვიდეს სიტყვის, პრესსის, შეკავშირების, შეკრების თავისუფლება,—შეეძლოს ყველას წინდაწინვე თავის კანდიდატობის წამოყენება, შეეძლოს თავის სამოქმედო პროგრამის გამოცხადება და ხალხმაც გაიგოს მისი მიმართულება, თავისუფლად ასწონდასწონოს მისი იდეალები, და მაშინ ცხადია, რომ ხალხი მოახერხებს შესაფერ და თავისთვის სასარგებლო წარმომადგენლის დასახელებას...

ზოგიერთ პირს ამ კრებებში განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ხალხი და მათი არჩევა შეიქმნება შესაძლებელი.

„პირდაპირი“ საარჩევნო უფლება... ყველამ უნდა აარჩიოს თვითონ ის პირი, რომელსაც ანდობს სახელმწიფო საქმეების მართვასა და გამგეობას. ორკეცი არჩევნები, სადაც ხალხი ცალკე სანდო პირთ ირჩევს და შემდეგ ეს პირნი ირჩევენ ხალხის წარმომადგენლებს,—რთულია და უვარგისი.

არჩევა ერთ დროს უნდა მოხდეს და ერთხელ. იმ საარჩევნო კრებებში, სადაც თვით ხალხი იღებს პირდაპირ მონაწილეობას, ხალხის წარმომადგენლებიც უნდა აირჩიონ ყოველთვის...

ყველამ უნდა დაასახელოს ისინი, ვისაც ენდობა, ვინც უკედ იცის მისი საჭიროება, ვისაც შეუძლიან უკედ დაიცვას მისი ინტერესები. სახელმწიფო საქმეების გამგეობა იმათ ხელში იქმნება, ვისაც აირჩევს ხალხის უმეტესობა. ამიტომ ყოველ კენჭს ზედ-მეტი მნიშვნელობა ეძლევა და ყველა ვალდებულია მისცეს თავისი კენჭი იმას, ვინც მართლა საიმედო ჰგონია...

როგორი მარტივი სისტემაა აქ გამოხატული!..

შევადაროთ ამას ორკეცი ან სამკეცი არჩევნები, სადაც ხალხის ამორჩეულთაგან არჩეული პირები ირჩევენ ხალხის წარმომადგენლებს, სადაც ამომრჩეველი, ხალხი, ვერ ჰგრძნობს, ვერ ხედავს აშკარად იმას, რომ მასაც აქვს ამ რთულ სისტემაში რაიმე გავლენა...

არა! არჩევნები უნდა იყოს—თანასწორი, საყოველთაო და პირდაპირი!

მაგრამ ესეც ხომ არ კმარა,—საარჩევნო უფლება უნდა იყოს **ფარული**... უთუოდ ფარული, ვინაიდან ყველა, მდიდარი და ღარიბი, უბრალო მოქალაქე და რაიმე უფლების მქონე, მექარხნე და მუშა,—ყველა ერთად იღებს არჩევნებში მონაწილეობას, ყველა თანასწორად ირჩევს წარმომადგენლებს საერო კრებისათვის!

მხოლოდ ნამდვილი ფარული კენჭის ყრა მოსპობს კენჭების ყიდვას და არჩევნებში თანასწორ მონაწილეობის მიღებას გახდის შესაძლებლად...

ფარული კენჭის ყრა უფრო ადვილი მოსახერხებელია და სპობს ათასნაირ ეჭვსა და უთანხმოებას, რომელიც აშკარა კენჭის ყრის დროს აუცილებელია ყოველთვის.

ყველას ხელში აქვს სხვადასხვა საარჩევნო სიები, ამ სიებში სასურველს ირჩევს და ფარულად საარჩევნო ყუთებშიაც აგდებს,—ამას დიდი ახსნა არ უნდა, აქ თვით არჩევნების ტეხნიკაც ადვილი ხდება...

ამბობენ, წერა-კითხვა არ იცის ყველამ და ამიტომ ყველა ვერ მოახერხებსო დაბეჭდილ საარჩევნო სიების წაკითხვას და თვითონ კანდიდატების ჩამოწერასაც.

მაგრამ ნუ თუ რამდენისამე წერა-კითხვის უცოდინარ ადამიანის გულისათვის უნდა უარვჰყოთ სისტემა, რომელიც სხვაფრივ სასურველია?

სახელმწიფოში სავალდებულო სწავლა უნდა იქმნეს შემოღებული უთუოდ, და ამიტომ, ცოტა ხნის შემდეგ, ყველას ეცოდინება წერა-კითხვა იმდენად, რომ მოახერხოს საარჩევნო სიების წაკითხვა.

მანამდის კი ამ წერა-კითხვის უცოდინრებმა ისევ თავიანთ სანდო პირებს მისცენ საარჩევნო სიები წასაკითხად, ისევ მათ გაიჭირვონ საქმე და დაინახონ სწავლის საჭიროება... ეს სჯობია სისტემის დარღვევას... ეს სჯობია აშკარა კენჭის ყრის შემოღებას, სადაც ადმინისტრაციის ყოველი წარმომადგენელი ეცდება გავლენა იქონიოს ამომრჩეველზე, ყოველი მექარხნე დაუსახელებს მუშებს სასურველ კანდიდატებს და ღარიბი ხალხი, ხალხის უმეტესობა, ისევ უმცირესობის ხელქვეშით დარჩება, რაკი აირჩევს უმცირესობისაგან დასახელებულ წარმომადგენლებს...

ხალხის კეთილდღეობა, [illegible]ლიაობა, უკეთეს მომავლის სურვილი—მოითხოვს საერთოდ, რომ პირდაპირი, საყოველთაო, თანასწორი და ფარული საარჩევნო უფლება მიიღოს ხალხმა (ს. ო.).

ნ. დრუჟინინი.

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

5 მაისი.

პეტერბურგი. დღეს, შუადღის 4 საათზე, ვოლჟსკო-კამსკის ბანკის სადგომში თავის კაბინეტში უეცრივ გარდაიცვალა ბანკის გამგეობის თავმჯდომარე სოლოგუბი.

სორმოვო, 5 მაისი. გუშინ მესკოვსკის გზატკეცილზე ცეცხლი გაჩნდა და დაიწვა როზენბლუმის მატყლის ფაბრიკა. ზარალი 100,000 მანეთამდეა. როგორც ამბობენ, ცეცხლი წაუკიდებიათ ფაბრიკიდან დათხოვნილ მუშებს. ოთხასზე მეტი მუშა უსაქმოდ დარჩა. ნიჟნი-ნოვოგოროდში გაფიცულნი არიან მეეტლეები. თხოულობენ ნიხრის მომატებას და პოლიციის უფასოდ ტარებისაგან განთავისუფლებას.

შავლი, 5 მაისი. ტყავის ქარხნების შემდეგ, შავლის დანარჩენმა ქარხნებმაც შესწყვიტეს მუშაობა, რადგანაც მუშები ყველგან გაიფიცნენ.

ლოძი, 5 მაისი. მეპურეთა გაფიცვა გათავდა. დღეს თითქმის ყველა მეფურნეები მუშაობას შეუდგნენ წმ. ჯვრის კასტელის ქსენძმა გამოაცხადა, არეულობის გამო, ეკკლესიაში წირვა-ლოცვა აღარ იქნებაო.

არდატოვი, 5 მაისი. სიმბირსკის მაზრაში ხმა გავრცელდა, პარადეევსა, ხუხორევსა და სხვაგან გლეხებმა ტყეები გაჩეხეს და აიკლეს ქონება ბლიაკოვისა და ფროლოვისა, რადგანაც ეს უკანასკნელნი საძოვრებს არ აძლევდნენ და მიწებზე ღალას ბევრს ახდევინებდნენო. როგორც ადმინისტრაციის გამოძიებამ აღმოაჩინა, თითო-ოროლა გლეხს აუმაღლებია ხმა მოურავების მოქმედებისა გამო, რომელნიც სადალო მიწაში თავის სასარგებლოდაც ფულს ახდევინებენ.

როსტოვი დონზე, 5 მაისი. გუშინ, დილის 11 საათზე, ვლადიკავკავის რკინის გზის სახელოსნოების ხელოსნები და მუშები გაიფიცნენ და სახელოსნოებიდან გავიდნენ. სადილის შემდეგ ერთი ნაწილი მუშაობას შეუდგა, დღეს-კი ისევ ყველა გაიფიცა და სახელოსნოებში არც ერთი აღარ გამოცხადდა. მთავრობამ გამოუცხადა, შეიარაღებით და თქვენი მოთხოვნილებანი წარმოგვიდგინეთო.

სიმლა, 4 მაისი. ინგლისის მისსიამ, მაიორის მაკ-მაჰონის უფროსობით, რომელიც გაგზავნილი იყო ავღანისტანსა და სპარსეთის სამფლობელოს სეისტანს შორის საზღვრის აღსადგენად, თავის საქმე კარგად შეასრულა და ჯგეტში ბრუნდება.

6 მაისი.

ლონდონი, 5 მაისი. რუსეთის გაზეთების ცნობების გამო, ვითომც ჩემბერლენის თავმჯდომარეობით კავკასიაში ინგლისის სინდიკატი დაარსებულაო, ჩემბერლენმა საგენტოს დეპეშა გაუგზავნა, ეგ ცნობები სრულიად უსაფუძვლოაო.

კიევი, 5 მაისი. კანევის ქალაქის მოურავი ტურინოვსკი სამართალში იქმნა მიცემული ფულის გაფლანგვისათვის. ტურინოვსკის გაუფლანგავს 50,000 მანათი საზოგადოებისა და ობლების ფული. დამნაშავე დატუსაღებულია.

მოსკოვი, 5 მაისი. მომავალ წელში სწავლის დაწყების შესახებ მინისტრის განკარგულებაზე უნივერსიტეტის პროფესორები თათბირობენ, როგორ მოიქცნენ იმ შემთხვევაში, თუ ზოგიერთი პროფესორნი, რომელნიც კი არ მოინდომებენ სწავლის გაგრძელებას, სამსახურიდან დაითხოვესო.—ზოგიერთ მკერვალთა ქარგლები გაიფიცნენ.

არმავირი, 5 მაისი. გაიფიცნენ ნოქრები.

ახსაბადი, 5 მაისი. გაიფიცნენ ნოქრები.

ეკატერინოდარი, 5 მაისი. გაიფიცნენ მეეტლეები. თხოულობენ, ტრამვაის ზოგიერთ შესავლთან პირობების შეზღუდვას, რადგან შემოსავალი მაკლდებაო.

უფა, 5 მაისი. გუბერნატორის სოკოლოვსკის მოკვლა საღამოს 11 საათზე განიზრახეს. გუბერნატორი თეატრში იყო და ანტრაქტში თეატრის შესავალთან თავის ნაცნობებს ელაპარაკებოდა. ამ დროს გავარდა რამდენჯერმე რევოლვერი და მძიმედ დაჭრილმა გუბერნატორმა უხმოდ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და დონე-მიხდილი დაეცა. გენერალს სამი ტყვია აქვს მოხვედრილი კისერში, ორი ტყვია ჯერაც ვერ ამოუღიათ. მდგომარეობა მისი სერიოზულია.

ჟიტომირი, 5 მაისი. ფეიქრების მომეტებულმა ნაწილმა მუშაობას თავი გაანება და ფასების მომატებას თხოულობს.

მინსკი, 5 მაისი. მოსკოვ-ბრესტის რკინის გზის სახელოსნოებში მუშათა გაფიცვა ჯერ არ შეწყვეტილა.

პეტერბურგი. მიწად-მოქმედების მინისტრი ერმოლოვი და სინოდის ობერ-პროკურორის ამხანაგი საბლერი სახელმწიფო საბჭოს წევრებად დაინიშნენ. საბლერის თანამდებობაზე დაინიშნა სენატორი შირინსკი-შიხმატოვი. სპარსეთის შაჰი, ამ მოგზაურობის დროს, ქ. ბაქოში არ გაჩერდება და აჯი-ქაბულიდან რუსეთისა და ავსტრიის საზღვრებით პირდაპირ ევროპას, კონტრექსევილში წავა.

ვისბადენი, 5 მაისი. დედოფალი მარგარიტა დილით ავტომობილით მოვიდა და სასახლეში მეფე-დედოფალი ინახულა. შემდეგ ამათთან ერთად თავის სასახლეში წავიდა. მათი უმაღლესობანი საუზმეზე გამოვიდნენ. ხალხი სიმღერით მიეგება. შუადღისას დედოფალმა მარგარიტასა და ბიულოვთან ერთად ისაუზმეს.

ლონდონი, 5 მაისი. რუსეთისა და საფრანგეთის ელჩები გარეშე საქმეთა სამინისტროში იყვნენ და ლანსდოუნი ინახულეს.

კრონშტადტი, 5 მაისი. ბალტიის ფლოტმა მოქმედება დაიწყო. ფლოტში არიან „მინინი", „ჰერცოგ ედინბურგსკი", ჯავშნიანი „ადმირალ გრეგი''. „ადმირალ ლაპტევი'', „პერვენეცი'' და „კრემლი'. ამ ფლოტს უფროსობს კონტრ-ადმირალი გაუპტა.

ჩიტა, 5 მაისი. ბურიატებმა კრებაზე გადასწყვიტეს, იშუამდგომლონ, რომ პირველ-დაწყებით სკოლებში სწავლა მონგოლთა ენაზე სწარმოებდეს, სასტატო სემინარიაში ბუდისტებსა და შამანისტებს შესვლის უფლება მიენიჭოთ, სასწავლებლებში მოსწავლეთა სტიპენდიების რიცხვი მოემატოს, მონგოლთა ენაზე გაზეთის გამოცემა ნება დართოთ, ბუდისტები ლამაიტებად კი არა, ბურიატებად იწოდებოდნენ. დაადგინეს, პეტერბურგში გაეგზავნათ დეპუტაცია—საერო და სასულიერო კომისია სარწმუნოების საქმეთა გამო, ითხოვონ სასულიერო წიგნების საზღვარ გარეთიდან დაბარების უფლება სამბოდამის ცენზორ ქვეშ გამოცემა და ბეჭდვა სასულიერო წიგნებისა, თავისუფალი გადმოზიდვა წამლებისა ტიბეტის სამზღვრით, ხომბოდამს მეტი დამოუკიდებლობა მიენიჭოს ადმინისტრაციისაგან, ბუდდას დაცახში და ჩიტაში ნება დაერთოთ ლოცვისათ.

კიურაქჩაი, 5 მაისი. ჩერნომორის გუბერნიის გამგემ აცნობა კავკასიის ნამესტნიკს, რომ ათასამდე კაცმა მანიფესტაციები გამართეს და, პარაკლისის შემდეგ, განმიცხადეს, უქვეშევრდომილესი გრძნობანი გარდაეცით ხელმწიფე იმპერატორს და ნოვოროსიისკის მცხოვრებთა ადრესი, სადაც აღშფოთებულნი არიან იმ ზოგიერთ პირთა თავხედურ მოთხოვნილებათა გამო, რომელთაც ამ დღეებში დემონსტრაცია მოახდინესო. ადრესის შემდგენელთ ღრმადა სწამთ, რომ ხელმწიფე, წინაპართა ანდერძის თანახმად, თვითონ ზრუნავს ხალხის კეთილდღეობაზე, და აცხადებენ, რომ მათი რუსული სული და გული სწუხს შინაურ არეულობისა და შორეულ აღმოსავლეთში მძიმე ომის გამო და სწამთ, რომ ომი რუსეთის სასახელოდ დასრულდება. ნამესტნიკმა დეპეშით აცნობა იმპერატორს ადრესის შინაარსი, რაზედაც პასუხად მიიღო: ბედნიერი ვარ, რომ თქვენი პირველი ნაბიჯი, რწმუნებულ ქვეყანაში შედგმული, ასეთ სასიამოვნო ამბით დაიწყო; მადლობა გარდაეცით ჩერნომორსკის გუბერნის გამგესო.

უფა, 5 მაისი. გუბერნატორმა სოკოლოვსკიმ დამე მშვიდობიანად გაატარა. ხვალ უფზასიდან მოელიან პროფესორ რაზუმოვსკის. დამით, გუბერნატორის სასახლის გვერდით, ბაღში, პოლიციელს დაეცნენ და დამის წყვდიადში მიიმალნენ, მაგრამ გუბერნიის გამგებლის განკარგულებით ბაღი ერთბაშად ელექტრონით გაანათეს და დამნაშავენი პოლიციამ შეიპყრო.

ვილნა, 5 მაისი. გენერალ-გუბერნატორს სადგურზე დაუხვდა პოლონელ-ლიტველთა დეპუტაცია და მადლობა გადუხადა 1 მაისის უქაზის გამო. შემდეგ დეპუტაცია, გუბერნიისა და მაზრის წინამძღოლებთან ერთად, გენერალ-გუბერნატორს სასახლეში წარუდგა და სთხოვა, ხელმწიფის ფერხთა წინაშე განარიხოს მათი მადლობა 1 მაისის უქაზის გამო.

ეკატერინოდარი, 5 მაისი. გუშინ ქალაქის საბჭომ უარ-ჰყო მეეტლეთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ისინი თხოულობდნენ ტრამვაისათვის სამუშაო დღე შეემოკლებინათ და ეტლებზე ნიხრი მოემატებინათ. დღესაც მეეტლეები გაფიცულნი არიან.

მინსკი, 5 მაისი. 1 მაისის უმაღლესმა უქაზმა პოლონელთა შორის დიდი სიხარული გამოიწვია. საერთო მხიარულებაა.

პეტერბურგი, 5 მაისი. დაინიშნენ: იუსტიციის სამინისტროს მეორე დეპარტამენტის დირექტორი ჩაპლინი—გამგეჯნელ ნაწილის გამგედ, მინისტრის ამხანაგის უფლებებით. მერვე არმიისკი კორპუსის უფროსი მილოვი—სამხედრო საბჭოს წევრად. ვიბორგის გუბერნატორს მიასოედოვს უბძანა სენატის წევრად ყოფნა და ტაინი-სოვეტნიკობა ებოძა.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

6 მაისი

ტოკიო, 5 მაისი. როგორღაც მართლდება ის ცნობა, რომ რუსის ესკადრა პირდაპირის გზით ცდილობს ვლადივოსტოკს მიაღწიოს, ამიტომ ეჭვს გარეშეა, რომ ტოგოსთან შეტაკება მოუხდება. ფორმოზას სრუტეში ნაღმებია ჩაწყობილი.

ჰონკონგი, 5 მაისი. კვანტუნის სანაპიროებზე, კუნძულ ჯონის მახლობლად, სდგას 150 დატვირთული ჩინური ნავი და ბრძანებას ელის. ჰფიქრობენ, ისინი სურსათით არიან დატვირთულნი და დამზადებულნი ერთ-ერთ ესკადრისთვისაო.

სინგაპური, 5 მაისი. „ლლოიდის" ცნობებით, 2 მაისს ვარელლას კონცხიდან 40 მილის მანძილზე გემ „სეგოვის" გზაში შეხვედრია რუსეთის ფლოტი, რომელსაც 42 გემი ახლდაო.

ტოკიო, 5 მაისი (რეიტერი). აქ ცნობები მოვიდა, როჟესტვენსკის ესკადრა ხონკოედან რომ გამოვიდა, ჩრდილოეთისკენ გასწიაო. საზოგადოებაში ის აზრი ტრიალებს, რომ ზღვაზე ბრძოლა ახლო მომავალში მოხდებაო. ამბობენ, რუსის ესკადრა, დაამზადა რა საკმაო ნახშირი და სურსათი, ახლა კი სათარეშოდ ოპერაციებს დაიწყებსო. ზოგნი კიდევ ჰფიქრობენ, როჟესტვენსკი ფორმოზასა ან პესკადორთან დემონსტრაციას მოახდენს, მერე წყნარ ოკეანისაკენ გაუხვევს და ვლადივოსტოკში მისვლას ეცდებაო. საზოგადოდ როჟესტვენსკის გეგმის შესახებ გამორკვეული არა იციან-რა.

სიტიაზა, 5 მაისი. დილის 11 საათსა 51 წუთზე, პირველს მაისს, იაპონელებმა იერიში მიიტანეს ჩვენს მარცხენა ფლანგზე. კაზაკთა მცირე მოწინავე რაზმებმა უკან დაიწიეს. ჩინელების სიტყვით, იაპონელები პაციაძის მახლობლად ცინხეში აგროვებენ სურსათს. ამ ბოლოს დროს მოწინააღმდეგე, როგორც ეტყობა, ძალას იკრებს. მალე მოელიან იაპონელების იერიშ.

ფუზანი, 1 მაისი. ოკუს ჯარი. რკინის გზის შეკეთება დასრულდა. მოძრაობა დაიწყო ტელინამდე. დანგრეული ხიდები შეაკეთეს. დროებითი ხიდები შესცვალეს. ტელინის ზემოდ სწრაფად ასწორებენ გზას. მასალას იაპონიიდან ეზიდებიან ტელინში ათას ჯონკით მდინარე ლიაოხეზე.

ტოკიო, 5 მაისი. (დელი ტელეგრაფი). გუშინ იაპონელ მოვაჭრეს აეკრძალა 4500 ტონა ქვა-ნახშირის წაღება საიგონში.

საიგონი, 5 მაისი. რუსეთის ესკადრის შეერთება გუშინ, 25 აპრილს, მოხდა ტერიტორიათა წყლების გარეშე. ესკადრები 1 მაისს გავიდნენ ზღვაში და აღმოსავლეთისაკენ გასწიეს. გოსპიტალი-გემი „ორიოლი", როგორც სჩანს, შანჰაისკენ გაემართა. ადმირალი ჟონკიერი იუწყება, ანამის სანაპიროების დათვალიერებამ კარგი ნაყოფი მოიტანაო.

(ღამის დეპეშები იხ. მე-4-ე გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

მომავალი ბრძოლა ზღვაზე. გაზეთ „პოსტ"-ში ახსნილია ნამდვილი მიზეზი ადმირალ ტოგოს დუმილისა. „ტოგოს ჩიჩუმე და უმოქმედობა საზოგადოებას ასე ესმის,—სწერს გაზეთი:—ადმირალმა ტოგომ თავის ეხლანდელს მშვენიერ სტრატეგიულ პოზიციას რომ თავი დაანებოს, წააგებს. ეს ისეთი პოზიციაა, რომ როჟესტვენსკი ამ გზას ვერას დროს ვერ ასცდება და, ასე თუ ისე, ძალა-უნებურად ტოგოს უნდა შეებრძოლოს. ტოგო თავის ნაღმოსნებს საიერიშოდ ჯერ-ჯერობით არა ჰგზავნის, რადგან როჟესტვენსკი ჯერ შორსაა და, როცა ახლო მოვა, მაშინ ენახავთ, რასაც ჩაიდენენ ტოგოს ნაღმოსნები. იაპონიის მთავრობას და საზოგადოებას სულაც არ ეშინია იმისი, ვითომ ადმირალი როჟესტვენსკი იაპონიასა და ოიამას ჯარს ერთმანეთს დააშორებს და იაპონიის ჯარს მანჯურიაში მარტოდ დასტოვებსო. იაპონელები ამბობენ, ევროპიელები მომავალ საზღვაო ომსა და იმის შედეგს გაზვიადებულ მნიშვნელობას აძლევენო. იაპონია სწორედ ეხლა მოუყრის თავს მანჯურიაში იმოდენა ჯარს, რამდენიც ამ ერთის წლის წინად უნდოდა. იაპონელები ეცდებიან, ომი შარშანდელსავით განიმეორონ, მხოლოდ იმ განსხვავებით კი, რომ მიმავალი გამარჯვება იაპონელთა უფრო მტკიცე, ძლიერი და საბოლოო იქნება. შარშან იაპონელები ერთსა და იმავე დროს ორსავე გვერდზე იბრძოდნენ: გენ. კუროპატკინსაც ამარცხებდნენ და პორტ-არტურსაც იღებდნენ. ამ ხერხს მარშალი ოიამა წელსაც გაიმეორებს: გენ. ლინევიჩსაც შეებრძოლება და ვლადივოსტოკსაც ალყას შემოარტყამს. ამჟამად იაპონიის ჯარი რიცხვით გაცილებით სჭარბობს რუსეთის ჯარს. ამის მიუხედავად, იაპონია მანჯურიაში ჯარის გზავნას მაინც არ შეაჩერებს და ამ ერთ თვეზე უეჭველად მეშვიდე არმიას შეადგენს. ამის შემდეგ განა საკვირველია, რომ იაპონიაში ეხლა ზავის ჩამოგდებაზე არავინა ჰფიქრობს? ამის გამო სრულიად უსაფუძვლო და მოჭორებულია ის ხმები, ვითომ იაპონიას მოლაპარაკების დაწყება უნდაო. წინად მთელი ქვეყანა იმეორებდა, ადრე თუ გვიან, იაპონიას ფული გამოელევა და იძულებული გახდება ზავი მოითხოვოს და რუსეთის-მიერ წამოყენებული პირობები მიიღოსო. ეს მტკნარი სიცრუეა, რომელსაც იაპონიის უკანასკნელი სესხის ისტორია თავიდან ბოლომდე ანგრევს. ამ სესხის ისტორიამ დაამტკიცა, რომ მთელი ქვეყანა იაპონიას რწმენითა, ნდობითა და იმედით უცქერის. დანამდვილებითაც კი შეიძლება ითქვას, რომ იაპონია ფინანსების მხრით ეხლა უფრო კარგს მდგომარეობაშია, ვიდრე ომის დასაწყისს იყო. იაპონიის შინაურ სესხთა საქმე უკეთესია საგარეო სესხებზე. ხალხში პატრიოტული გრძნობა თანდათან მატულობს, რაიც სწორედ შინაურ სესხებით მტკიცდება. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმას, რომ იაპონიის იმპერატორი ყოველ შინაურ სესხის გამოცემის დროს 20 მილიონ მანათზე აწერს ხელსა. ხალხსაც მტკიცე იმედი აქვს გამარჯვებისა, ფულის დაბრუნებისა და ამიტომ ზოგჯერ უკანასკნელ მანათს აძლევს ომის სასარგებლოდ.

„ნოვოე ვრემია"-ს ეს, რასაკვირველია, არა სჯერა და სწყინს, როგორ გაბედა სერიოზულმა გაზეთმა „პოსტ"-მა ამ წერილის დაწერაო, და პასუხსაც თვითონ იძლევა, ამჟამად გერმანია და, მაშასადამე, «პოსტ»-იც იაპონიას ეკურკურებიანო, ე. ი. „პოსტ"-იც იაპონელებმა ისევე მოისყიდეს, როგორც რუსეთის ერთგული გაზეთები „მატენი'', „ტანი'' და სხ. (ნ. ე.)

როგორ მოიქცევა ადმირალი როჟესტვენსკი? შანხაიდან დეპეშით ატყობინებენ „რუსკოე სლოვო"-ს: აქ ყველანი დარწმუნებულნი არიან, რომ მომავალი საზღვაო ბრძოლა გადასწყვეტს ომის ბედსაო, ამიტომ დიდის ინტერესით მოელიან ბრძოლას და რუსის ადმირალის გეგმის გამოცნობას ცდილობენ. უცხოელთა უმეტესობა ჰფიქრობს, ადმ. როჟესტვენსკი თავის ფლოტს ორ რაზმად გაჰყოფს, ერთის რაზმით თითონ შეებრძოლება იაპონელებს, მეორეს კი ვლადივოსტოკისაკენ გაჰგზავნისო. ადმ. ტოგოს გეგმა დიდ საიდუმლოებას შეადგენს. ხმა დადის, ვითომ ამ

ფელეტონი

გადიდგულებული მწერალი

(მ. გორკისა)

კარგი არ არის, მწერალს რომ ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს, არა! ქოთნის მცენარეს თუ არ აწყენს მოპარებული სინესტე, მუხას—ზომიერად ესაჭიროება.

აქ გიამბობთ ერთს ახალგაზდა კალმოსანზე, რომელიც, მიზნისკენ მისწრაფების დროს, მოულოდნელად შეერია ცნობილთა წიაღში. გიამბობთ, თუ რა უშნოდ და სასაცილოდ იქცეოდა, რაკი საზოგადოების ქებით გაზვიადდა და რა დაემართა—დიდების შარავანდედმა რომ თავ-ბრუ დაჰხვია.

ერთხელ, თვალსაჩინო ადგილას, გარს შემოეხვეოდა მთელი ჯარი საზოგადოებისა, ტაშს უკრავდნენ და გაჰკიოდნენ: ვაშა!.. ვაშა!..

ის კი იდგა მათს წინ, იღიმებოდა და ისეთს სიამოვნებასა ჰგრძნობდა, თითქო სიტკბოების ნექტარში აბანებენო... ასე ახლოს პირველად ჰხედავდა საზოგადოებას.

უცბად რაღაც უხერხულობა იგრძნო, თითქო დაერცხვინა კიდეც... ასე მოეჩვენა, ვითომც, ეს-ეს არის, იღლიის ქვეშ დაუწყებენ ღიტინსო, და უცნაური ფიქრები უქროლავდა. ეგონა, ვითომც თვალიერებისას ყველა მათგანი თავის ყურებს იმის ყურებთან ადარებს, რომელი უფრო გრძელიაო. იგრძნო, რომ ყურები მართლა ეზრდება, ეზრდება უზომოდ. საზოგადოება კი მისჩერებია და შესძახის „ვაშა!.. ვაშა"!..

წყეულმა ეჭვმა გაურბინა, ვითომც იგი თავის თავს აღარ ეკუთვნის: ესენი სწორედ თავის საკუთრებადა მთვლიან და, საცაა, ბურთაობას ამათამაშებენო. მაცდური კი უკან ასტუზია და ჩაჰხითხითებს: „ხე-ხე-ხე!.. უცქირე და!.. უცქირე!"

გადაჰხედა ჩემმა ჭაბუკმა—საზოგადოება მატულობს, იზრდება და განუწყვეტლივ ტაშსა სცემს. მათ შორის მოსჩანდნენ კეთილად ზრდილნი მოწაფენი იუდა ისკარიოტელისა, იგნატი ლოიოლას და დანარჩენ ქრისტეს გამცემ ძმათა, სდგანან ურცხვად და ისინიც ტაშს უკრავენ. ათასი თვალი მისჩერებია მას და ნემსივით ესობა გულში. სდგას შეკრთალი, დარცხვენილი. ერთბაშად მის თვალში ყველას თავები ერთად შეიზილა, ერთ უშველებელ სახედ იქცა—თვალები კი არსად უჩანდა, ორი შავი ლაქა ჩაჰფლესოდა თვალების ალაგას. ცხვირი კი სპილოს ხორთუმივით ჩამოჰგრძელებოდა.—„უცქირე!..—გესლიანად უხითხითებდა მაცდური,—მაგათ მეთაურებს მხოლოდ ცხვირი დაუგძელებიათ, მათს გულში კი არა შეუშუქებიათ რა.—ჰხედავ—თვალჩაშრეტილია. უცქირე ერთი, უცქირე, როგორი ენა აქვს, როგორი"!..

ჭაბუკის თვალ-წინ ცმაცურობდა მსხვილი და დინგის მაგვარი ტუჩები, რომლის შიგნითაც ლაღლაღობდა სქელი, მოკლე და დორბლიანი ენა, რომელიც მყრალად და შმორიანად ყრანტალებდა: „ვაშა!.. ვაშა!.."

— „მე, ბატონებო, მრწამს თქვენი გულწრფელობა! მხოლოდ ვერ მივმხვდარვარ, რითი დავიმსახურე თქვენის გულის ეგოდენი სითბო... იცით, რა? ხან ასე მგონია, იმისთვის გიყვარვართ, რომ სერთუკს არ ვატარებ და ძალიან ხშირად უწესო სიტყვებსა ვხმარობ... ხანაც მეფიქრება, მარცხენა ფეხით რომ ლექსების წერა მოვახერხო, თქვენ უფრო გულ-თბილად, უფრო ყურადღებით მომეპყრობით...

— „ვაშა! ვაშა!"—იგრიალა საზოგადოებამ.

— იცით, კიდევ რა, ვექვობ, თქვენ ნამდვილი მკითხველები კი არა, მოტრფიალენი, თაყვანისმცემელნი ხართ. მკითხველისათვის მნიშვნელობა მწერლის პიროვნებას კი არა, მისს სულსა აქვს და მწერალს ორთავე ხბოსავით როდი სჩხრეკს. კითხულობს წიგნს, ბრმად კი არ ერწმუნება, თვითონ საზრავს: „აი, ეს ასეა, ეს კი არა!" მოფიქრების შემდეგ წაკითხულს კარგ საქმედ აქცევს და შემდგომად ამ საქმეს ისტორიად უწოდებენ. თქვენ კი, ბატონებო, ისტორიას კი არა, ალიაქოთს ახდენთ. ნამდვილი მკითხველი ძალიან ცოტაა ქვეყანაზე, თქვენისთანები კი—აი, რამდენი! სინიდისის ქვეშ უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემს გულში, არამც თუ პატივისცემა, მცირეოდენი მიზიდულობაც არ მოიპოვება თქვენდამი. ჩემი ამხანაგები მარწმუნებენ—საზოგადოებას პატივისცემა უნდაო, მაგრამ ვერავინ გამაგებინა კი—რისთვის? როგორ ჰფიქრობთ, რისთვის შეიძლება თქვენი პატივისცემა?.."

მწერალი დადუმდა. კითხვის თვალით მისჩერებოდა საზოგადოებას. ისიც სდუმდა. ნაწყენსა ჰგავდა. საიდანღაც გრილმა სიომ მოჰბერა.

— „ხედავთ,—ხანგრძლივ სიჩუმის შემდეგ განაგრძო მწერალმა,—თვითონ თქვენც ვერ მოგისაზრებიათ, რისთვის შეიძლება თქვენი პატივისცემა".

ერთმა ქერამ დააღო ხახა და წამოაყრანტალა ბოხის ხმით:

— „ადამიანები ვართ!.."

— „განა ბევრია თქვენში ნამდვილი ადამიანი? იქნება ათასში მხოლოდ ხუთს სწამდეს, რომ მხოლოდ ადამიანია შემოქმედი და მეუფე ცხოვრებისა, რომ უფლება თავისუფალის აზროვნებისა, ლაპარაკისა, მოქმედებისა, მოძრაობისა, მიმოსვლისა—წმინდა, ხელშეუხებელი უფლებაა მისი. იქმნება მხოლოდ ხუთს ნაათასალს შეეძლოს ბრძოლა ამ უფლებისათვის, ბრძოლა უდრკელი, თავგანწირული. უმრავლესობა თქვენგანი კი მონაა ცხოვრებისა, ან ურცხვად გაბატონებული მასზე, თქვენ კი საერთოდ—უწყინარი მოქალაქენი, დროებით მოადგილენი ნამდვილის ადამიანებისა,—და თუ ადამიანური შეგრჩენიათ რაიმე, მხოლოდ სახე. გიცქერით მაგ მიმქრალს, ნაბია თვალებში და გულსაკლავად ვამჩნევ, რა ცოტაა თქვენში გაბედული, რა ცოტაა პატიოსანი... ღარიბია, ღარიბია ჩემი მხარე გაბედულის ხალხით—დრო კი ახლოვდება, როდესაც გმირები დაგვჭირდება"...

ოციოდემ ზურგი უჩვენა მწერალს და განშორდა. მან კი განაგრძო: „რიგიანი, ცოცხალი ადამიანი ყოველთვის მიისწრაფვის საითმე, ეძიებს რასმე, თქვენ კი ცხოვრობთ ჩუმად, წყნარად, უმოძრაოდ—ისე, როგორც ნაბრძანები გაქვთ. ცხოვრება გეფიწროებათ, ფიქრი გეზარებათ, განძრევისა გეშინიანთ... როგორც კეკლუცა ქალის სასტუმრო ოთახში ჩამწკრივებულია ათასგვარი უმაქნისო ნივთები, ისე თქვენს გარშემო ცხოვრებაში ათასი ადათ-ჩვეულება ყოვლად უმსგავსია,—ყოველივე ეს ხელის განძრევას გიშლით, მაგრამ მათი დაგმობა ვერ გაგიბედნიათ: ეს თქვენი წვრილმანი სათაყვანო იდეალებია, თუმცა კი ყველა ეს გბორკავთ თქვენ.

და თუ თქვენს დახშულს ბუნაგში ნიავი შემოასისინებს მინდვრის სალსა და გამახალისებელს სურნელებას, შიშითა ჰკრთით და ყველა ჯუჭრუტანებში ბამბებს უცობთ, ფილტვების ანთება არ დაგვემართოსო. თავის შეწუხება არ გიყვართ, „თავის შეწუხება გაფრთხობთ!.. მაგრამ თქვენთვის საჭიროა სამასლაათო. წესი მოითხოვს, რითიმე გაართოთ თქვენი სტუმრები, და, აი ატოცის გლახასავით ხელს აწვდით მწერლობას, რომ იქიდან მოიხელთოთ რაიმე თქვენს გასართობად. მწერლობა თქვენთვის ძველი სანელია, სირის კუდი თქვენის დამძაღებულის ცხოვრებისათვის. თქვენ მოგწონთ, როდესაც ადამიანი სისხლითა და ნაღველითა სწერს, მხოლოდ მოგწონთ. არც სიყვარულს, არც მძულვარებას არ აღვიძებს თქვენში მწერლობა, არაფრისაგან არაფერს, გარდა მოწონებისა და დაწუნების ბლაყილისა. თქვენ ადამიანები კი არა, მაცქერალნი ხართ, საზოგადოება კი არა—ბრბო. ცხოვრებას ბეწვიც არ შეერხეოდა, ერთბაშად რომ მოსწყდეთ, ქვეყნიერებაზე არა შეიცვლებოდა-რა, მიწამ რომ გიყოთ პირი"...

მან შიშით თვალები დახუჭა, იგრძნო საითლაც მიეზიდებოდა უხილავი ძალა. მაგრამ როდესაც თვალები გაახილა, მის წინ იდგა ხალხი ჩვეულებრივი, უბრალო, მტკიცე ზღუდედ გარშემორტყმული. სახე ულიმოდათ, თვალები ბავშვურის სიამოვნებით უბრწყინავდათ, ყოველივე მის გარშემოს სადა და ჩვეულებრივი იყო. ამ ღიმილმა და ალერსიანმა თვალებმა სითბო მოჰფინა მწერალს, შიში განუქარწყლა და მოსწყურდა, რაიმე სათუთი, საგულისგულო რამ ეთქვა მათთვის. ღრმად ამოისუნთქა, ხელი გახურებულს შუბლზე მიიდო და წარმოსთქვა:

— „ბატონებო!."

— შშშ...„ვაშა!..." ტსს... ჩუმად!.. ლაპარაკს აპირებს!

— ბატონებო,—წარმოსთქვა მან,—თქვენი ყურადღება სასიამოვნოდ ულიტინებს ჩემს გულსა; მგონია—მიგიხვდით. პატარაობისას, სამხედრო მუსიკას რომ გავიგონებდი, მახსოვს, ავედევნებოდი ხოლმე. მართობდა ისე მუსიკა არა, როგორც ის ჯარის-კაცი დიდს ტრუბას რომ უბერავდა და ლოყები საშინლად ებერებოდა... გმადლობთ, ბატონებო"!..

— „ვაშა! ვაშა"!—შესძახა კრებამ:—„ჩვენ გეიყვარხარ შენ"!..

— გმადლობთ!—განიმეორა აღელვებულმა და მთლად დამდნარმა მწერალმა.

— ვაშაა!..

— ბატონებო!—აღფრთოვანებით წარმოსთქვა ჩემმა გმირმა,—გულ-ახდით ვილაპარაკოთ!

— „ვაშა"!..

მაცდური კი მწერლის უკან ატუზული და ხითხითებს. მუზმუზელა!

— თქვენ კერპი და ჯიუტი ხართ, როგორც მონები: გცემენ—ხმას არ იღებთ, შეურაცხგყოფენ—იღიმებით. მღერით მხოლოდ მაშინ, როდესაც თქვენი ცოლები უგემურს სადილს მოგართმევენ. გაწუხებთ მხოლოდ საცხოვრებლის სიხარბე, ურთიერთის შურიანობა და კუჭის მოშლილობა. ფეხთსაცმელი როდესაც გიჭერთ, ჰკვნესით: „ჰოო, მართალს ამბობს შოპენჰაუერი"!.. როდესაც შემოგესმით ძახილი „თავისუფლება"!—თქვენთვის ამბობთ: „რა ჰეკუბას საქმეაო"!... ეშმაკმამაც წაუღიხართ თქვენ ყველანი! რომ იცოდეთ, რა საცოდავი, საძაგელი, რა საშინელი და აუტანელია თქვენში ცხოვრება!.. გეუბნებიან: ჩვენი ცხოვრება შემაძრწუნებელია, ჩაშავებულებული, მთლად სისხლად იწკრიტება—არა გჯერათ. თქვენი ცხოვრება მხოლოდ უმსგავსო და მოსაწყენია. ამ სისაძაგლის მომაკვდინებელ საშინელებაზე რომ გითითებენ, არხეინად ცნობისმოყვარეობთ: ლამაზად იყო ნათქვამი თუ არა!.. წუმპეში ჩაფლულნო, სილამაზის მოტრფიალენო, მალე მაინც ჩაიღრჩენით მანდ"!

საზოგადოება თანდათან შეთხელდა. არ მოსწონს მას გრძელი სიტყვა. მაცდური ხითხითებს,—იმან კარგად იცის ყველა ამის ფასი!.. მაგრამ თავის მოვალეობით გატაცებული მწერალი ვერას ამჩნევს: „ცხოვრება საგმირო პოემაა, ადამიანი კი მაძიებელი მისის გულისა; ჰსურს ყოველივე იცოდეს, ძალა არ შესწევს; ჰლამის გაძლიერდეს, ვითა მამა მისი ზეციერი—უძლურია დასთრგუნოს თავისი სისუსტე.

გსმენიათ რამე ჭეშმარიტებაზე, სამართლიანობაზე? იმ მისწრაფებაზე, რომ მთელი კაცობრიობა ვიხილოთ თავისუფალი, ამაყი, სახიერი?..

თქვენ გენატრებათ მხოლოდ სიმაძღრე, თბილი ცხოვრება და სიყვარულის სახელით ქალწულთა გამანკიერება და გარყვნილება. თქვენ გენატრებათ სიცოცხლე მშვიდი, მყუდრო, მიმდორებული,—ეს არის თქვენი ბედნიერება!..

თქვენი ნატვრა საუკეთესო ბედნიერებისა, არის წადილი—ერთ გროშად შეიძინოთ ხუთგროშიანი.

ბედნიერებას იძენენ მარჯვე და ძლიერის მკლავით! თქვენ კი, მშიშარნო, გნიას გაცლილნო და ლაჩარნო, თქვენ უმაშველოდ ბუზიც ვერ მოგიგერებიათ. ბუზებსაც კი იმ მოშხამულ ქაღალდებით ემებით—„სიკვდილი ბუზებს"... მებრალება ბუზები. ბზუიან და გიკრთობენ ძილს, მაგრამ მე კი სიამოვნებით დავსწერდი თქვენთვის: „სიკვდილი ბუზებს.", რომ წაგეკითხნათ და მოუსვენრობით მოშხამულიყავით... ვხედავ, უსამართლო ვარ: მოუსვენრობა დაგეტყოთ...

როდესაც თქვენი ცოლები გღალატობენ, ან იმისთვის, რომ ვერ აცხოვრებთ, რადგან არ გმართით ჯამაგირი, ან მისთვის რომ თქვენთან მოსაზიზღებელია მათთვის ცხოვრება, თქვენ ოხრავთ, ფილოსოფოსობთ, ცხოვრება ბილწად და აუტანლად გეჩვენებათ მხოლოდ იმ დრომდე,

ჟამად ორსავე ფლოტს შუა სულ ცოტა მანძილი-ღა დარჩა გასასვლელიო.

იაპონიის ზღვაში. „რუსკოე სლოვო“-ს დეპეშით ატყობინებენ შანხაიდან, 28 აპრილის თარიღით: „ამ დღეებში გენზანის მხარეს იაპონიის ესკადრა შეენიშნათ: ორი ჯავშნიანი კრეისერი, ორი მაშველი კრეისერი და 6 ნაღმიანი გემი. ესკადრა ვლადივოსტოკისაკენ მიდიოდა. უეჭველია, ეს ესკადრა ვლადივოსტოკის წინააღმდეგაა გაგზავნილი“.

ახალი ამბავი

ჩვენ გვატყობინებენ, რომ ახლო მომავალში **ნამესტნიკის ჩამოსვლისა გამო გადაწყდება შემდეგი საკითხები:** შემოღება ერობისა ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში, ნაფიც მსაჯულთა შემოღება, დაბრუნება სომხებისა და თათრების საეკლესიო ქონებათა და უმაღლესის სასწავლებლის დაარსება კავკასიაში.

◆ **ნამესტნიკის კანცელარიამ მოსთხოვა ტფილისისა და ქუთაისის თავად-აზნაურთა დეპუტატთა საკრებულოებს**, ხსენებულ გუბერნიებში საერობო დაწესებულებათა შემოღების შესახებ თუ ოდესმე რაიმე შუამდგომლობა აღგიძრავთ, დაუყოვნებლივ გამოგვიგზავნეთო.

◆ როგორც ხაშურიდან გვატყობინებენ, 5 მაისს, საღამოს 9 საათზე, ქუჩაზე ვიღამაც ტყვიით **დასჭრა იქაური ბოქაული.** ტყვია ჭრილობაში დარჩა.

◆ გზათა მინისტრმა ყველა სახელმწიფო და კერძო რკინის გზების უფროსებს **შემდეგი მოწერილობანი დაუგზავნა:** „ძლიერ ბევრ გზებზე მოსამსახურეებმა თავიანთ მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ პეტიციები წარმოადგინეს და თან სამსახურზე ხელი აიღეს, რაც ძლიერ სამწუხარო მოვლენად უნდა ჩაითვალოს. იმათ დაარღვიეს „დისციპლინა“ და მათ სახელმწიფო და საზოგადო წეს-წყობილების წინააღმდეგობა ჩაიდინეს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მე მაინც სათანადო პირებს მივანდე განეხილათ პეტიციები, მივანდე იმ იმედით, რომ შემდეგში აღარ განმეორდება ასეთი გაფიცვები, რადგან მეგულებიან ჯერ კიდევ ბევრი სანდო მოსამსახურენი, რომელთაც გათვალისწინებული აქვთ სამსახურის ნამდვილი მოვალეობანი. პეტიციების გარჩევის დროს გამოირკვა, რომ ზოგიერთი მოთხოვნილებანი სრულიად არ შეესაბამება წეს-წყობილების ძირითად კანონებს, მაგალითად, მუდმივ მოსამსახურეთაგან არჩეულ კომისიის დაარსება, რომელსაც ხმა უნდა ჰქონდეს მინიჭებული მოსამსახურის მიღება-დათხოვნაში ან კიდევ მოსამსახურეთა ბიუროს დაარსება. დანარჩენი მოთხოვნილებანი თუმცა შეესაბამება ჩვენის წეს-წყობილების კანონებს, მაგრამ უმაღლესად უნდა იქმნეს გადაწყვეტილი, მაგალითად, საპენსიო კასის წესდების შეცვლა და სხვა ამ გვარი. ბოლოს, მოთხოვნილებათა მეტი ნაწილი შეეხება მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესობას. როგორც გამოანგარიშებამ აღმოაჩინა, ყველა ამაზე საჭირო თანხის გაღება ძლიერ დასწევს რკინის გზის საერთო ჯამს გასავლისას შემოსავლისაზე და უიმისოდაც დავალიანებულ ხაზინას მეტ განსაცდელში ჩააყენებს. ამისათვის მე საჭიროდ ვსცან ახლავე მხოლოდ მცირე ჯამაგირიანები დავაკმაყოფილოთ, რომელნიც ქალაქის აუტანელ სიძვირით უკიდურეს მდგომარეობაში არიან ჩავარდნილნი. ამნაირ მცირე ჯამაგირების გასადიდებლად უკვე მოთხოვნილი მაქვს შესაფერი კრედიტი. ისეთი პირობების შემუშავება კი, რომელიც ახალ ხარჯს არ იწვევს სახელმწიფო ხაზინიდან და პირად მათი სამსახურის პირობების მოწყობას შეეხება, რკინის გზის უფროსზე მიმინდვია. ამასთან ერთად უმაღლესად გადასაწყვეტად შემაქვს შემდეგი საკითხები: საზოგადო დებულების შემუშავება პეტიციების შესახებ, სადისციპლინარო წესდების შემუშავება; მოსამსახურეთა შრომა-შესვენების დებულების შემუშავება და დანარჩენ ზომების შემუშავება, რომელიც კი უმაღლესად თხოულობს დამტკიცებას.

◆ **ტფილისის ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას აზრად ჰქონდა** წარსულ თებერვალში მომხდარ თავად-აზნაურთა კრებისთვის ეთხოვნა, რომ ორმოც და ათი ათასი მანათი გადაედო ქართულის თეატრის გადასაკეთებლად. დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ განზრახვა ვერ განახორციელა, რადგან იმ ხანებში საქართველოს სხვადასხვა სოფლებში აგრარიულმა მოძრაობამ იჩინა თავი და თავად-აზნაურთა ყურადღება მხოლოდ ამ საგანზე იყო მიპყრობილი. როგორც გადმოგვცეს, გამგეობას განუზრახავს, **სთხოვოს კავკასიის ნამესტნიკს თავად ვორონცოვ-დაშკოვს, რომ ოპერის ფასით სახაზინო თეატრი ქართულ წარმოდგენისათვის კვირაში ერთხელ დაუთმოს.** ოპერას თეატრი დღეში ას-ოც მანათად ეთმობა.

◆ შემახიდან „მშაკს“ ატყობინებენ, რომ იქაურ მალაკნებში უსაფუძვლო ხმა გაუვრცელებიათ, ვითომ **სომხებსა და თათრებ შორის მოკლე ხანში დიდი სისხლის ღვრა მოხდებაო.**

◆ **როგორც შიდა-რუსეთიდან გადმოსახლებულთა დამხმარებელ საზოგადოების ანგარიშიდან სჩანს,** 1903 წლის განმავლობაში საზოგადოებას ჰყოლია სულ 395 წევრი. სხვათა შორის, საზოგადოების წევრებად ითვლებიან შემდეგი ქართველები: ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ-დი დავ. ზაქ. მელიქიშვილი, ი. ს. ღულაძე, ნ. ი. ნიკოლაძე, ალავერდის ეპისკოპოსი ქვთიმე, ივ. ნ. მაჭავარიანი, ივ. ევდ. გამყრელიძე, ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების თავმჯდომარე თ-დი ს. ნიკ. ლორთქიფანიძე, დ. ან. კობიაშვილი, სპ. ბ. ჯორჯიკია, თ-დი დ. ოტ. ნიჟარაძე, თ-დი პ. გ. წულუკიძე, კნ. ევგენია ალ. ლეონიძისა, ნიკ. დ. მაჭავარიანი და სხვ.

◆ გუშინ, ექვს მაისს, ნაშუადღევის პირველ საათზე ეტლით მიდიოდნენ მაზრის წინამძღოლნი კ. ერისთავი და ნიჟარაძე. **კადეტთა კორპუსის წინ ეტლს დაეჯახა ტრამვაი.** თავადი ნიჟარაძე ეტლიდან ძირს გადმოვარდა, ხოლო თავ. ერისთავი გადარჩა. თავ. ნიჟარაძე მსუბუქად დაშავდა.

◆ სად. ქვალონიდან გვატყობინებენ, 5 მაისს, ნაშუადღევის 12 საათზე, **ოთხმა შეიარაღებულმა კაცმა ჩამოუარა სადგურს და გაძარცვა:** კასსა, საიდანაც წაიღო 137 მან. 60 კ., სადგურის უფროსი, რომელსაც წაართვეს 66 მანათი ფულად და ვერცხლეული, მისი თანაშემწე, რომელსაც წაართვეს 12 მან. და 50 კ., და მორიგე მეისრე, რომელსაც წაართვეს 18 მანათი. ამ ძარცვის შემდეგ ყაჩაღნი ტყეში მიიმალნენ.

◆ დღეს, ქალაქის საბჭოს დარბაზში, ბ-ნ ჭრელაშვილის თავმჯდომარეობით, **მოხდება გაგრძელება იმ კრებისა,** რომელმაც ქალაქის გამგეობის ყველა მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესობის შესახებ ზომები უნდა გამონახოს. ამ კრებაზე, სხვათა შორის, უნდა გამოარკვიონ მოსამსახურეთა ჯამაგირების მინიმუმი.

◆ სად. ბაქოდან გვატყობინებენ, 3 მაისს ნავთსადგურზე **ცეცხლი გაუჩნდა ბამბას.** სამასი ბამბის ტომარა გადაყარეს ზღვაში. როდესაც მერე ტომრები ზღვიდან ამოიღეს, ნახეს, რომ ნავთი ჰქონდა გადასხმული. გამოძიება სწარმოებს.

◆ როგორც გავიგეთ, ვაჟთა მეორე გიმნაზიაში **ამჟამად ექსტერნად ეგზამენს იჭერენ** სათავად-აზნაურო სკოლაში კურს დამთავრებული ხუთი მოწაფე.

◆ **სამკურნალო სამმართველოს განკარგულებით, ცხინვალის ქსენონის გამგედ ინიშნება** საგარეჯოს ექიმი ბ-ნი თუმაჯანოვი, ხოლო საგარეჯოს ექიმად ინიშნება ბ-ნი იაგუბოვი.

◆ **კავკასიის ნამესტნიკი** გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი გუშინდელ დღიდან თავის **თანამდებობის აღსრულებას შეუდგა.**

◆ მოგვყავს რამდენიმე სიტყვა, რომლითაც სხვადასხვა პირებმა მიჰმართეს ნამესტნიკს გრაფ ვორონცოვ-დაშკოვს. **ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის მოადგილემ შემდეგი მოახსენა:**

„ქართველ თავად-აზნაურობის სახელით მოგესალმებით და მოგილოცავთ მშვიდობით მობრძანებას საქართველოს უძველეს სატახტო ქალაქში. გეგებებით, როგორც ხელმწიფე იმპერატორის წარმომადგენელს და ისეთს ადამიანს, რომელიც გამსჭვალულია ჰუმანიურის სურვილით,—დასთესოს ირგვლივ სიმართლე და მშვიდობიანობა, რაც ასე ენატრება ჩვენს მრავალტანჯულს სამშობლოს.

სიტყვა, თქმული ქუთაისის თავად-აზნაურთა წინამძღოლის მიერ, დაახლოვებით შემდეგი შინაარსისა იყო:

„მოგესალმებით, გრაფო, როგორც კეთილი ტრადიციებით გამსჭვალულს ადამიანს და ღრმად გვწამს, რომ თქვენ გაივლით თავად მიხეილ სვიმონის ძე ვორონცოვის კვალზე. კავკასია სამართლიანად ითვლება რუსის ხელმწიფის გვირგვინის საუკეთესო მარგალიტად, თუმცა ეს მარგალიტი დღეს ისე აღარ ბრწყინავს. ჩვენ იმედი გვაქვს, თქვენს მფარველობის ქვეშ, იგი ისევ გაანათებს და ჩვენს მხარეში დამყარდება წესი და მშვიდობიანობა.

სიონის ტაძარში საქართველოს ექსარხოსი ნამესტნიკს დაახლოვებით შემდეგი სიტყვით შეხვდა:

სიყვარულითა და კეთილის იმედებით მოგესალმებით თქვენ, როგორც წარმომადგენელს საყვარელის ჩვენის ხელმწიფისას, რომელმაც გიბოძათ თქვენ უმაღლესი ხარისხი—თვისი ნაცვლობა კავკასიაში. მეტია ვსთქვათ, რომ დღეს ეს მხარე საჭიროებს უფლებებით აღჭურვილს მმართველს და სიხარულით გეგებება მის მაღალ ხარისხოვან წარმომადგენელს. ეს კარგად ესმის უბრალო მომაკვდავსაც კი ჩვენი მხრისას, რომელიც აღელვებულია გარეგნულ და უცხო ელემენტების თვით-ნებობით და ძალმომრეობით; აღელვებულია ქვეყნის მშვიდობიან მცხოვრებთა და წეს-რიგის ცნობილ და უცნობ, ხილულ და უხილავ მტრებით. ჩვენი მხარე ამჟამად დაეძებს მშვიდობიანობის დამყარებას და დაცვას პიროვნებისა, საკუთრების ხელ-უხლებლობისა, პატიოსნებისა, ცხოვრებისა, კანონისა და წეს-რიგისას. ღმერთსა ვსთხოვ, თქვენს მოწოდებას შეუერთდნენ კავკასიის კეთილ-შობილნი შვილნი, რომელნიც თავიანთ ხალხის კეთილ-დღეობას იმაში უნდა ჰხედავდნენ, რომ ეს ხალხი მჭიდროდ შეუერთონ რუსეთის თვითმპყრობელის დიდებულს სახელმწიფოს და იმის ჯვრის ქვეშ რუსეთთან ერთად ჩვენთვის უცხო მტრის დასამარცხებლად იბრძოლონ“.

ქუთაისის ცხოვრება

ქალაქის საქმეები საბჭოში.

2 მაისს შესდგა საბჭოს 25 აპრილს გადადებული კრება. ამ დღისთვის დანიშნული წვრილმანი საქმეები, რომელმაც ვერც მეორეთ მიიზიდა ხმოსნები, საბჭოს თათბირის დროს სერიოზულად და კაპიტალურად გადიქცნენ; ხმოსნები როცა დაინახავდნენ, რომ ამა თუ იმ საკითხის გამორკვევა—გადაწყვეტა ძნელდება ერთხმად ადგენენ: უჰ, ეს საკითხი სერიოზული ყოფილა, ასე ხელათ, უკამისიოთ არ გადაწყდება და ისევ მას მივმართოთო.

ასეთ საკითხად აღიარეს: ქუჩების გაკეთება-გაფართოების და მორწყვის საქმე, სადორიის მცხოვრებთა მოთხოვნილებების გამორკვევა და ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა ჯამაგირების მომატების საკითხი.

ხმოსან ბართლომე მოსეშვილს, რომელიც ყოველ დიდ საკითხებს მისი პრაქტიკული გამოსადეგრობის და სარგებლობის თვალით უყურებს, განცხადება შეუტანია ქალაქის გამგეობაში, რომ ქუჩების უვარგისობისა გამო, აქ ხეირიან კაცს აღარ ეცხოვრება. კარგ ამინდებში მტვერი, სიცხე და ქარი გვახრჩობს, თვალები და ტანისამოსი აღარ გვივარგა, ხოლო წვიმასა და უამინდობის დროს წყალსა და ტალახში დავცურავთ. ქუჩები ვიწროები გვაქვს, ეტლი-ეტლს თუ შეუვლის გვერდს და ამ დროს კი ელექტრონულ ტრამვაის გაკეთებას ვაპირებით; ისინი მიხვეულ-მოხვეულები, უტროტუარონი ან კისერ და ფეხებ სამტვრევ ტროტუარებიანია და მათ გაუმჯობესება—გაფართოებაზე მზრუნავი არავინ გვყავსო. მათ მორწყვას არავინ დასდევს, მათი ტალახისაგან გაწმენდა არავის ახსოვს. ესევე დაადასტურეს ყველა დანარჩენმა მოლაპარაკეებმაც, ხოლო ხმოსანმა კირილე ლორთქიფანიძემ იგივე აზრი მოკლე ირონიულის დაცინვით გამოხატა: მე ძალიან მიკვირს აქვთ კიდევ თვალები ქუთათურებს აქაურ მტვერის გამოო?

ხმოსნების მიერ ასეთი სამართლიანი ფაქტების აღნუსხვა ერთგვარი საყვედური იყო, მიმართული ქალაქის გამგეობისადმი რომლის მეთაურმა იგი იუკადრისა და განაცხადა: ჩვენ ყოველთვის ვიღწვოდით ქუჩების მოწესრიგების გაუმჯობესობაზე, მაგრამ ხელის შემწყობნი არა გვყავდა. ქუჩების გაფართოებას ვფიქრობდით, შევუდექით კიდეც საქმეს, ბევრ სახლის პატრონსაც ადგილები მოეყიდათ ჩვენთვის ქუჩების გასაფართოებლად, მაგრამ უზომო, ენით წარმოუთქმელ ფასებს ადებდნენ ამგვარ ადგილებს, მიუხედავად ამისა, რომ ქუჩების გაუმჯობესობით მათ მამულსაც ფასი დაედებაო.

ყოველ შემთხვევაში გამგეობა იმ საყვედურს მაინც ვერ აიცილებს, რომ სახლების შენების დროს მათი მეთვალყურეობა ქუჩების შევიწროების საქმეში თუ ძველად არ ყოფილა, იგი არც დღესაა მკაცრად დაცული: ყველა თავის გემოსა და ნებაზე აშენებს სახლებს და ქალაქზე ნაჩვენები „ლინია“ ქალაქზევე რჩება. ამრიგათ დღესაც ბევრი ქუჩა მახინჯდება.

რაც შეეხება მტვერისა და ტალახისაგან ქუჩების გაწმენდას, თქვა ქალაქის თავმა, ამის შესახებ ენერგიული ზომებია მიღებული. პოლიცმეისტერს მოველაპარაკე და მთელი ცეცხლის მქრობელი რაზმის ცხენები, ბოჭკები და ტაჩკები თავისუფალ დროს ამ საქმეს მოხმარდება; მორწყვა და წმენდა ქუჩებისა ამიერიდან ყოველ დღე იქნება. კაი და პატიოსანიო, შენიშნა ამაზე მას ვ. წილაძემ, თუ კი ეს ასე იქნება, თუმცა მე არა მჯერა, რომ ცეცხლის მქრობელ რაზმის ცხენებს ჩვენ ყოველთვის გვათხოვებენ ამ საქმისთვის. ახლა კარგი პოლიცმეისტერი გვყავს, იგი ძალიან თავაზიანი კაცია და თქვენ ამას დაგპირდით, მაგრამ ამას ის აჯობებს, ეს საქმე (ცეცხლის ქრობის საქმე) ქალაქის ხელში გადმოვიდეს და, ჩვენ გამგებლობაში რომ იქნება, იქაურ ცხენებს, როგორც გვინდა ისე მოვიხმართ. ამიტომ მე არ ვითხოვ არავის კერძო დავალებას და მით უფრო პოლიციისაგან; მე მსურს აღვადგინოთ ჩვენი უფლებანი და ჩვენი საქმეები ჩვენ თითონვე განვაგოთო.

მცირე კამათისა და ქალაქის მოურავის მიერ თავის მართლების შემდეგ ქუჩების მოსაწესრიგებლად ზრუნვისათვის ბ-ნ მოსეშვილის მეთაურობით კვლავ კომისია აირჩიეს. იმედია ეს კომისია „მძინარა კომისიის“ სახელს არ დაიმსახურებს და მკვიდრს მტვერსა და ტალახში დახრჩობას ააცილებს.

ეგრედ წოდებულ სადორიაზე ქალაქს დიდძალი მამული აქვს. ამ ადგილების მან იჯარით გაცემა დაიწყო და ნება მისცა მოიჯარადრეებს შიგ ჩასახლებისა, ალბად, იმ შორეულ მოსაზრებით, რომ ოდესმე იგი მოსახლეებმა უნდა შეიძინონ, მათ უფრო რომ იმერელ კაცს სხვის სახლზე არსებულ საკუთრების, თუნდაც სახრავათ მისი იყოს, არაფერი სწამს; მას იგი (ნამეტურ სამოსახლო ადგილი) უსათუოდ თავისად უნდა ეგულებოდეს, ამ მიზნით და აგრეთვე იმითაც, რომ ქალაქის თვითმართველობა ამ თავის ადგილების გაუმჯობესობაზე (ქუჩების გაკეთება-განათებაზე, სკოლაზე და სხვ. მისთ.) არ ზრუნავს,—სადორიელებს მოულაპარაკნიათ და ქალაქისათვის რვამუხლიანი მოთხოვნილებანი წარუდგენიათ. ამ მოთხოვნილებათა განსინჯვაც სამპიროვან კომისიას გადასცეს. მხოლოდ მცხოვრებლების მიერ ამ ადგილების გამოყიდვა პრინციპიალურად გადასწყვიტეს. შეპირდნენ აგრეთვე სადორიელებს (ესენი ამ არა სასიამოვნო სახელის შეცვლასაც თხოულობენ, რასაც იმედია ქალაქი აუსრულებს) ქუჩების გაკეთებას და სკოლასაც.

კომისიისავე გამოსაკვლევი შეიქმნა ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა განცხადება ჯამაგირების მომატების შესახებ. ისინი აცხადებენ, რომ ძალიან ბევრი შრომა გვაქვს, ქალაქის საქმეებმა ერთი ორად იმატა, ჩვენი შტატი კი ისევ ძველი დარჩა; ასე რომ მუშაობა არა თუ დილით გვიხდება დილის 9 საათიდან ნაშუადღევის ორამდე, საღამოობით და ხანდისხან უქმე დღეებშიაც კი ვმუშაობთ და კიდევ ძლივს გასაჭირში ავდივართ აქაურ საქმეებს. ამისათვის დღეს, როცა მშრომელებისათვის ყველა მზრუნველობას იჩენს, ნურც ჩვენი ქალაქის თვითმართველობა გამოაკლდება ამას და მოგვიმატეთ საერთო ჯამაგირების 30 პროცენტი. თავიანთ მართლიერ მოთხოვნილებათა დასადასტურებლად, ქალაქის მოსამსახურეებს განცხადებისათვის მოსკოვის ქალაქში არსებულ „შრომის მუზეის“ პირობებიც კი მიუმაგრებიათ, რითაც ხმოსნებს უკეთ გაუთვალისწინებიათ მათი მოთხოვნილებანი.

კარგიო, უთხრეს მათ და საბჭომ გამგეობას მიანდო ამ საკითხის გამორკვევა და მოხსენების წარმოდგენა შემდეგისათვის.

ბოლოს უკამისიოთ გადასწყვიტეს სხვა წვრილმანი კითხვები და მათ შორის ქალაქის ბეთლის ბ. ლანგის თხოვნაც. ქუთათურ ებრაელებზე მზრუნველი ბ. ლანგი დღესაც თავის კერძო მაგალითით სარგებლობს და მათი უფლების დაცვაზე საკითხს ძრავს. მას გაუზრდია ობოლი ქალი მ. პ. აშკენაზისა. ამას ქალების საშუალ სასწავლებელი გაუთავებია და დღეს მოუსურვებია სწავლა დაამთავროს ქალების საექიმო ინსტიტუტებში პეტერბურგში, მხოლოდ დღევანდელი კანონების ძალით მას, როგორც ებრაელ ქალს, იქ შესვლის უფლება არა აქვს და აი, მისმა აღმზრდელ ექიმ ლანგმა ითხოვა საბჭოში, რომ მან აღძრას მთავრობის წინაშე შუამდგომლობა ქ-ნ აშკენაზის ინსტიტუტში მიღების შესახებ. დღესო, თქვა კირილე ლორთქიფანიძემ, როდესაც ამდენს ლაპარაკობენ ყველას უფლებებს და სარწმუნოების თავისუფლებაზე, სწორედ შესაფერი იქნება ამგვარი შუამდგომლობა და მართლაც უნდა აღვძრათ იგიო. ხმოსნებიც ერთხმად დაეთანხმნენ ამას და დაადგინეს იშუამდგომლონ ქ-ნ აშკენაზის ინსტიტუტში მიღების შესახებ.

ის.—ბრიძე.

გლეხი

მინისტრთა კომიტეტი აჩქარებს სახელმწიფო საბჭოში ახალ კანონების გამოცემას გლეხთა მდგომარეობის შესამსუბუქებლად.

უნდათ გააადვილონ სახაზინო მიწების იჯარით გაცემა.

ასეთი ადგილი რუსეთში სულ 90 მილიონ დესეტინამდის ყოფილა.

მიწად-მოქმედების მინისტრს უფლება უნდა მიენიჭოს საიჯარო გადასახადის გადადებისა და პატიებისა.

ცდილობენ გამოიჩინონ გლეხკაცისადმი თანაგრძნობა და მზრუნველობა, უნდათ ამით მოსპონ ახალი მოძრაობა სოფლებში, დაამშვიდონ სოფლელი გლეხი.

დიდი ხანია, სჩივის ყველა უმიწაწყლობას,—თვით შიდა-რუსეთში ხალხი ვერ იხდიდა ყველა გადასახადს, მიწა საკმარის შემოსავალს არ იძლეოდა.

იმათ, ვისაც უნდოდა გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესება, ეჭვის თვალით უყურებდა მთავრობა, ერობებს ხელს უშლიდნენ გლეხთა მდგომარეობის გამორკვევაში, პლევეს დროს ხომ სულაც აკრძალეს სოფლად სტატისტიკობა.

თვითონ მთავრობა კი ამ დროს ათასნაირ კომისიებს აწყობდა, თათბირობდა, კანცელარიებში წრიპინებდა კალმები და საქმე არ კეთდებოდა...

ბოლოს ქუხილის გრგვინვამ გამოაფხიზლა ყველანი...

მაშინ დაჩქარდნენ და ათასნაირი დაპირება დაიწყეს, უნდოდათ ამ დაპირებით მოესპოთ გლეხთა მოძრაობა სოფლებში...

მაგრამ ეს მოძრაობა დაიწყო უკვე, დაიწყო ყველგან, რუსეთის სხვადასხვა კუთხეში, დაიწყო ძლიერად...

არ ვიცით, ახლა რას აპირობენ,—იჯარის პატიება უნდათ, თუ გადადება... იჯარას პატიება ხომ საკუთრების გადაცემას უდრის, იჯარის გადახდის გადადება კი იგივე სესხია...

უნდა იცოდეს ადამიანმა, რა განზრახვა აქვს ამჟამად მთავრობას,—საკუთრებად და უსასყიდლოდ უნდა გადასცეს მშრომელს სახაზინო ადგილი, თუ მხოლოდ დროებით უნდა შეუმსუბუქოს მდგომარეობა—უნდა მისცეს სესხი, რომელსაც შემდეგ გადაახდევინებს ისეთივე სიმკაცრით, როგორც ახდევინებდა ყოველთვის...

სესხება შეიძლება მაშინ, როდესაც გადახდევინების იმედი ექმნება ადამიანს, და აქ, გლეხობაში, როგორ უნდა გადაახდევინონ შემდეგში ახლა გადადებული გადასახადი, როდესაც ხალხი თან-და-თან ღარიბდება, ბოგანო ხდება; როდესაც არსებული წყობილება საშუალებასაც არ აძლევს არავის გაიუმჯობესოს თავისი მდგომარეობა, ძირს უთხრის ხალხის კეთილდღეობას.

სჯობია საქმე უცებ და ახლავე გადაწყდეს და მშრომელს უსასყიდლოდ მიეცეს მიწა...

მაგრამ ნუ თუ ჰგონია ვისმე, რომ მხოლოდ ამ ერთ საშუალებით, ადგილების ჩუქებით, შეიძლება სოფლელ ხალხის დამშვიდება,—არა! სოფლელს აღარ აკმაყოფილებს სოფლის უბრალო შრომა, სოფლელი მხოლოდ თავის კუჭის გაძღომას არ ჰფიქრობს ამჟამად!

სოფლად იგივე მოძრაობაა, რომელმაც ქალაქ ადგილებში იჩინა თავი. იქაც სიმართლეს, სამართლიანობას ეძებს ადამიანი, იქაც ცდილობენ ადამიანურ უფლებათა მოპოვებას, ახალ წყობილების შექმნას ბიუროკრატიის სამაგიეროდ.

ნუ თუ ჰგონია ვისმე, რომ სხვადასხვა წყალობით შეიძლება ქალაქების ჩამოშორება სოფლებისგან, მათი ერთმანეთში გადამტერება?

ყოველ „საეჭვო“ პირს ქალაქებიდან გზავნიდნენ სოფლებში და ამნაირად გავრცელდა სოფლად ის მიმართულება, რომელიც წინად მხოლოდ ქალაქ ადგილებში იყო გავრცელებული.

სანამ ჯამაგირს მოგიმატებენ, ან თქვენც გაიჩენთ საყვარლებს.

თქვენი ბებრუხანა ბუზღუნი ცხოვრებაზე, თქვენი სასომიხდილი დუდუნი და ბედის უმადურობა, შხამად ეწვეთება თქვენს მოზარდს შვილებს, მათ გულისყურს წვრილმანებზე აჩერებს და უჩლუნგებს გონებას იმ ხმალივით, რომელსაც კისრის მაგიერ, შეშას აჭრევინებენ. შემდგომ შვილებიც, მოქანცულნი თქვენის არაკებით ცხოვრებაზე, რომელიც თქვენ ვერ შეიგნიათ, წყნარად მისდევენ თქვენ-მიერ დაქნილს ბილიკს უდროვოდ დაბერებულნი, უმსგავსნი. მიდიან და მისტირიან ცხოვრებას თბილს, ცხოვრებას მშვიდს, ცხოვრებას მყუდროს—მიაგნებენ და ფუსფუსებენ შეუმჩნევლად, როგორც მამანი მათნი.

ესენი იმ ახალს ალიზსა ჰგვანან, რომლითაც გამოლესავენ ხოლმე დაძაბუნებულ შენობის ნაპრალებს. ეს სულის შემხუთავი და ბინძური შენობა მთლად გაჟღენთილია ადამიანთა სისხლით, რაც თავის ქვეშ გაუსრესია; სიძველისაგან ირყევა იგი, ჰგრძნობს აღსასრულის მოახლოვებას, ცახცახით მოელის მარჯვე ქიმუნჯს, რომ იგრიალოს და ჩამოწვეს... უკვე ჰსაკდება ამ ქიმუნჯის ძალაც, ფართოვდება, ძლივს იკავებს თავს, ხან აქ, ხან იქ მოუთმენელის ქარცეცხლით იფეთქებს ხოლმე...

მოვლენ ისინი, ძველი შენობა შეირყევა, ჩამოგენგრევათ თავზე და გაგსრესავთ, რადგან მხოლოდ მისთვის მაინც გეკუთვნით ღირსეული სასჯელი, რომ არა გაგიკეთებიათ-რა. უდანაშაულო არავინაა ცხოვრებაში“...

საზოგადოება სულ შეთხელდა, ზოგი სიბრალულით შესცქეროდა მწერალს: უყვარდათ მის მოთხრობების კითხვა, მისს სიტყვას კი ნაღვლიანად ისმენდნენ: არა იყო-რა იმაში ესტეტიური!..

სხვანი დაცინვით მისჩერებოდნენ. ყველას მოეწყინა, ხოლო არავისა სწყინდა. ერთმა ჭაბუკმა წარბშეხრით, ბრაზიანად მიაძახა: „ეგ ცალიერი სიტყვებია. აბა, დაგვისახელეთ თქვენის მოქმედების პროგრამა“. ერთმა დარბაისელმა ოხვრით ჩაილაპარაკა: „ეჰ, ჯეელობაში მეც ვიყავ რომანტიკი“. შავოსანმა მანდილოსანმა იკითხა: „რაო? ქალებსა ლანძღავს?“

მაცდური ხითხითებს.

—

„უნდა მოგახსენოთ კიდევ, რომ მეტის მეტად გიყვართ სიბეჩავე. ეს-კი, ვგონებ, ანგარიშით მოგდით: ვერაფრით ვერ დაგიმსახურებიათ ერთმანეთის სიყვარული და პატივისცემა,—იბეჩავებთ თავს, რომ სიბრალული და თანაგრძნობა მაინც გამოიწვიოთ, ეს ერთგროშიანი თვალთმაქცობაა, რომლითაც ისე უმასპინძლდებით ერთმანეთს, როგორც პატარა ფინიას, ეტლის თვალი როცა გადაუვლის ფეხზე.

გექავოთ მაინც სალი და მტკიცე სიყვარული სიცოცხლისა... თქვენ ხომ არ გიყვართ ცხოვრება—მის წინაშე თრთით და მოფარებით, ქურდულად აციცქნით მას ნაფცქვენებს. მშვიდნო, საბრალო მათხოვარნო!.. ღმერთმა მეტი უბედურება მოგივლინოთ, ეგები შეინძრეთ, მეტი გულ-სახეთქი შეგამთხვიოთ, ეგების გამოცოცხლდეთ!“.

ერთმა, რომელიც მის წინ იდგა, იუკადრისა ეს და წყენით უპასუხა: „ყველანი ხომ ასეთები არა ვართ, დასწყევლოს ღმერთმა!? ეს უსამართლობაა!..“

— ბატონებო! სამართლიანობას ნუ მომკითხავთ, იგი არ არსებობს ქვეყნად ჯერ, არა—ან კი საიდან უნდა გაჩნდეს თქვენ შორის სამართალი? ყველანი, პირადებით უმსგავსნი ხართ, საზოგადოება, ბრბო, როგორ გაგარჩიოთ კარგი და ავი?. სიყრმიდანვე ყველა თქვენთაგანს შეუძენია ცოდნა, ყველას დაგიქსელიათ გიმნაზიის კარები, ყველას ერთგვარად გასწავლიდნენ. მე მგონია, მხოლოდ სიკეთესა სწავლობდით, ურიგობას, თუნდაც ესწავლებინათ, არ შეითვისებდით.. ვერ წარმომიდგენია უნივერსიტეტი, სადაც ასწავლიდნენ ადამიანის მძულვარებას, ჩინოვნიკურს, გულცივსა და განურჩეველს დამოკიდებულებას ცხოვრებასთან, თბილ-თბილ ადგილების ძებნას და სხვა ამისთანა სიბრძნეს. ყოველთვის ასე მეგონა—ამაებს არ გასწავლიან, მაგრამ ცხოვრებაში რომ გამოდიხართ, თქვენის მიმატებით არა აკლდება-რა არსებულს სისაძაგლეს. თუმცა დარწმუნებული არა ვარ, ვითომ თქვენც შემოგქონდეთ ნაირ-ნაირი უწმაწურობა, მაგრამ ეს კი კარგად ვიცი: ოცდახუთისანი უარჰყოფთ საკუთრებას, ოცდათხუთმეტისანი კი საკუთარს სასახლეებს გადასჭიმავთ ხოლმე. ვიცი, შნო და უნარი არ გაკლიათ თავის თავზე ზრუნვისა, მაგრამ გეკითხებით: რა გაარიგეთ ცხოვრებაში? რა შეჰმატეთ მას? ყველანი გულგრილნი ხართ, თვით ისინიც კი, ვინც ცხარე-ცხარედ გაჰკივის: უჰ, რაოდენი სისაძაგლეა ჩვენს გარშემოო!.. ცდილობთ განა მისს მოსპობას? თქვენგან მაინც სდევნით მას? არა! მაგრამ უკეთესნი თქვენთაგანნი ზიზღით გაურბიან და ემალებიან მას. უმწიკვლო ცხოვრება ურიგო სურვილი არ არის, მაგრამ პატიოსანს ადამიანს ტალახისა არ ეშინიან. სინიდისის ქვეშ ვილაპარაკოთ: ცხოვრება რომ ასეთი უწმაწური და საძაგელია—ყველანი თანაბრადა ვართ დამნაშავენი... უდანაშაულო ჯერ არავინ არის ქვეყანაზე, არა!.. საიდან მოგდევთ ეგ კუდის ქიცინი ჩემს წინაშე, ან სად ვისწავლიათ ეგ მონური შიში თქვენის საკუთარის კანისა?

მე გიმტკიცებთ—რაც კი საზიზღრობა და უწესოება გვეღობება ყოველს ნაბიჯზე, მხოლოდ იმისთვის სულდგმულობს, ძალაშია და ასეთის თავხედობით ჰყვავის ჩვენს გარშემო, რომ ჩვენშივე ჰპოვებს მტკიცე ნიადაგს—ჩვენს სილაჩრესა და დაცემულობაში. ცხოვრების სამარცხვინო ტრიალში ყველას თანაბრად გვიძევს წილი. არ დავიშურებდი თქვენთვის წყევლას, რომ მწამდეს მისი ძალა. მაგრამ მე უფრო სხვა მრწამს: მალე, მალე გამოჩნდება სხვა ხალხი, გაბედული, პატიოსანი, ძლიერი,—მალე!“

— კარგია, აკმარე!.. ჩაუღიმილა მაცდურმა.

ჭაბუკმა თვალი მოავლო, მის გარშემო ჭაჭანება არავინ იყო. „საკვირველია,—ჩაილაპარაკა მან,—სად წასულან? მე ჯერ არ გამითავებია“!

— შენს მგზნებარე სიტყვებში ჩაიბუგნენ!. შეხედე ჰერზე მჭვარტლსა!.. ეგ-და გადარჩა მათგან!.. იცინე!“

არ ვიცი, რა დაემართა შემდგომად ჩემს გმირს, არც მეხალისება ამ ამბავს დასასრული შევუთხზა. ვგრძნობ კი—ჩემის გმირისათვის სახეირო არა იქმნება-რა. მაგრამ ამაში კი დარწმუნებული ვარ—არ არის კარგი, მწერალს რომ ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს, არა!

და ყოველი ადამიანი, ვისაც კი საზოგადოებასთანა აქვს საქმე, მოვალეა თავის გარშემო სიმართლის სულემას ასხურებდეს.

ნარკანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ. სუმის სამეურნეო საზოგადოება აცხადებს: „საადგილ-მამულო მოძრაობის ვრგვინვა გაისმა უკვე, ჰაერი დამძიმდა და ყოველ წამს უნდა მოველოდეთ საშინელ ჭექას და ქუხილსაო“...

როგორ უნდა უარჰყოს ის, რაც ახლა ცხადზე უცხადესია? სოფლელი გლეხი იმ საისტორიო მოძრაობაში ერევა უკვე, რომელიც ახლა დაწყებულია რუსეთში.

სოფლელი გლეხიც მიისწრაფვის იდეალისკენ. სოფლელმა გლეხმა ამ იდეალის მისაღწევ გზასაც მიაგნო და ვერავითარი ძალა სწორ გზიდან ველარ გადაახვევინებს გლეხობას.

იყო დრო, როდესაც გლეხს არა გაეგებოდარა, როდესაც გლეხი იყო ყველას მორჩილი, ყოვლად ჰომთმენი და უიმედო...

დრო შეიცვალა... (ნ.)

ბიუროკრატიის იმედი

„ნოვოე ვრემია“ საზოგადოდ თვალ-ყურს ადევნებს ბიუროკრატიის ყველა მისწრაფებას და ცდილობს თავის ფურცლებზე გამოხატოს ბიუროკრატიის სურვილი და იდეალები.

ახლაც გაზეთი აცხადებს, რომ რუსეთის საპოლიტიკო წეს-წყობილება რუსეთში დამოკიდებულია იმაზე, გაიმარჯვებს ზღვაში როჟესტვენსკის ესკადრა თუ არა...

„როჟესტვენსკი თუ დარჩა გამარჯვებული, მაშინ შეიძლება უფრო მცირედი საარჩევნო უფლება მიენიჭოს ხალხსაო და თუ, პირ-იქით, როჟესტვენსკი დამარცხდა, მაშინ ხომ ძალა-უნებურად უნდა შეასრულოს ბიუროკრატიამ ხალხის საერთო სურვილი“...

„ახლა რომ გამოირკვა კომისიის აზრი მომავალ წეს-წყობილების შეხებ, ჯერ საბოლოო არ არის, შეიძლება კიდევ შეიცვალოსო“.

„შეიძლება შეიცვალოსო იმის მიხედვით, თუ ვის გაუღიმებს ბედი მომავალ საზღვაო ბრძოლაში“.

ამნაირად, გამოდის, რომ მხოლოდ ფლოტის დამარცხებას მოჰყვება შინაურ წყობილების განახლება რუსეთში...

საშინელებაა!..

იაპონელებს პორტ-არტური რომ არ აეღოთ, რომ არ დაემარცხებინათ რუსების ჯარი ლიაოიანსა და მუკდენში, მაშინ ის წარმატებაც არ დაეტყობოდა რუსეთის შინაურ ცხოვრებას, რომელიც დაეტყო ახლა...

მხოლოდ აშკარა დამარცხებამ აიძულა ბიუროკრატია, ცოტა რამ დაეთმო ხალხისთვის... და, პირ-იქით, ჯარი გამარჯვებული რომ დარჩენილიყო, ბიუროკრატია უწინდელივით იფარფაშებდა.

მაშ, ასე გამოდის, რომ რუსეთის საკეთილდღეოდ საჭირო ყოფილა როჟესტვენსკის ესკადრის დაღუპვა!..

სწორედ ამიტომ არის, რომ რუსეთში ზოგიერთს უხარია ჯარის დამარცხება და ყოველი უბედურება.

სწორედ ამიტომ არის, რომ ჯარის გამარჯვება ბიუროკრატიას რუსეთის საკეთილდღეოდ კი არ უნდა, არამედ თავისთვის, თავის ბატონობისთვის სჭირია,—რეაქციის გასაძლიერებლად.

ამიტომ და სწორედ ამიტომ, დროს მოსაგებად, ბიუროკრატიამ დაიწყო ლაპარაკი ნდობაზე, თუმცა ეს ნდობა მალე მოისპო, დაიკარგა სადღაცა...

ახლა ურთიერთის ნდობაზე ლაპარაკი არ შეიძლება, არ შეიძლება მით უფრო, რომ „ნოვოე ვრემია“ გულ-ახდილად აცხადებს, ბიუროკრატია ხალხს არ დაუთმობსო არაფერს, თუ გარედ, ომის ველზე, გაიმარჯვაო.

ყოველსავე სიგლახეს რამე სიკეთეც მოჰყვება. ბიუროკრატიის ამნაირ გამოცხადებას მოჰყვება ზოგიერთების გამოფხიზლება, ყველა გაიგებს, თუ რა უნდა მოელოდეს შემდეგში, გაიგებს იმასაც, თუ რა მნიშვნელობა ჰქონია ახლანდელ ომიანობას...

ან, შეიძლება, სცდება „ნოვოე ვრემია“, როდესაც აცხადებს, ამას ჰფიქრობსო ბიუროკრატია?

თვითონ კი ირწმუნება, დანამდვილებით ვიცი ბიუროკრატიის მისწრაფებაო?..

(„ნოვ.“).

რუსეთი

პოლიციის დეპარტამენტის დირექტორად ნამყოფმა ლოპუხინმა მინისტრთა კომიტეტს წარუდგინა **მოხსენება შესახებ პოლიციის მოქმედების შედეგისა სახელმწიფოში მშვიდობიანობის დასაცავად**. შედეგი პოლიციის სისტემისა, ლოპუხინის აზრით, სანუგეშოს არას წარმოადგენს. გაძლიერებულ დაცვის წესმა წვრილ მთავრობას დიდი უფლებანი მისცა სახელმწიფო დამნაშავეთა შესახებ, მაგრამ ყველა ეს ხერხი, ლოპუხინის აზრით, უღონოა, უძლურია, რადგან ხალხში მთავრობის საწინააღმდეგო პროპაგანდა უფრო ძლიერდება. სრულიად არ ვარგა აწ არსებული საპასპორტო სისტემა, რომელიც არავითარ მიზანს არ აღწევს. ამ წესით პოლიცია პასპორტის პატრონს კი არ აქცევს ყურადღებას, არამედ თვითონ პასპორტს. ხშირად იყო ისეთი მაგალითი, როცა ის კაცი, რომელსაც პოლიცია დაეძებდა, სატახტო ქალაქში თავის ნამდვილ პასპორტით მთელი თვეობით ცხოვრობდა. დასასრულ, ყველა ამ არა სასურველ მოვლენათა მოსასპობად, ლოპუხინის აზრით, საჭიროა ადგილობრივი პოლიცია უფრო დამოუკიდებელი იყოს და მეტი უფლება მიეცეს („ს. ო.“).

✦ პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორს, ტრეპოვს ზოგიერთა უმაღლეს სასწავლებლის უფროსები დაუბარებია და უთქვამს, თქვენ სასწავლებლებში ხშირად კრებები იმართება და ამ კრებებზე ისეთნაირ ლექციებს კითხულობენ, რომელთაც ნამდვილ მეცნიერებასთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ. გარდა ამისა, გენ.-გუბერნატორმა სთქვა, საჭიროა სასწავლო ფასი წელიწადში 500 მანეთამდე ავწიოთო. ამით ერთი მხრით ღარიბ და მოუსვენარ სტუდენტობას უნივერსიტეტებში შესვლას გავუჭირებთ და მეორეც—შევაჩერებთ ინტელიგენციის ზედმეტ ზრდასო (ს. ო.“).

✦ „სინ ოტეჩესტვა“-ს სიტყვით, 29 აპრილს პუტილოვის ქარხანაში აგიტაციის დროს მუშებს **ერთი ორატორი დაუჭერიათ**, ჯერ კარგად უცემნიათ და მერე საიდუმლო პოლიციაში წაუყვანიათ (ს. ო.).

✦ პეტერბურგელ ვექილთა საბჭოს თავმჯდომარეს იტალიიდან შემდეგი დეპეშა მიუღია: „ქალაქი ტრონი. ვექილთა პრეზიდენტს. ჩვენი, ვექილთა, საბჭო, ადამიანის უფლებათა დაცვის სახელით, საჭიროდ სცნობს, რომ ეს უფლებები არ დაირღვეს და არ შეილახოს **მაქსიმ გორკის** შესახებ (ს. ო.).

✦ ამას წინად დეპეშამ გვაცნობა, მეზღვაურმა-**მატროსმა ვიცე-ადმირალი ნაზიმოვი მოჰკლაო**. მიზეზი მკვლელობისა ის ყოფილა, რომ ადმირალ ნაზიმოვს გადაუწყვეტია სმირნოვის გაგზავნა ბრძოლის ველზე (ს. ო.).

✦ სრულიად რუსეთის სცენის მოღვაწენი, სპეციალობისა და ეროვნების განურჩევლად, **კავშირით შეკვრას აპირობენ** (ს. ო.).

✦ შილლერის დღესასწაულის დროს ბერლინში მიუღიათ შემდეგი დეპეშა მოსკოვის უნივერსიტეტისაგან: „ეხლანდელ განმათავისუფლებელ დროს უნივერსიტეტი მადლობით იგონებს მოღვაწეობას გენიალურ გერმანელ პოეტისას, რომელიც **ერთი უდიდესი მებრძოლთაგანი იყო** თავისუფლებისა და ადამიანის წმინდა უფლებებისათვის“

ამ დეპეშას მთელ გერმანიაში დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია (ს. ო.).

კორესპონდენცია

ხორაგაული (შორაპნის მაზრა). 30 აპრილს, ღამის 10 საათზე, რკინის გზის ლიანდაგის 142 ვერსზე შემდეგი საზარელი ამბავი მოხდა. ამ ადგილას მდინარე ჩხირამელას ერთვის ლაპრანას ღელე, რომელზედაც გადებულია რკინის გზის ხიდი. როგორც სხვაგან, ისე აქაც აპრილის დამლევს და მაისის დამდეგს ადგილობრივი ხალხი ღამე თევზის დასაჭერად „ტაბაობაზე“ გამოდის, რადგანაც ამ დროს თევზმა ჯგუფ-ჯგუფად იცის მდინარედან ღელეში შესვლა და თევზაობაც ამიტომ მეტად ხელსაყრელია.

30 აპრილს ოცამდის მახლობელ სოფლების გლეხი და ერთი მოხუცებული ქალი ამ ხიდ ქვეშ შეგროვილა „ტაბაობაზე“. რკინის გზის ლიანდაგის დარაჯებს მათთვის არ დაუშლიათ იქ შეყრა, რაკი იცოდნენ, რომ ამ დროს იქ უოველთვის თევზაობაა. საღამოს საათის ცხრაზე ზელაგორიდან მარელისისაკენ საქონლის მატარებელმა ჩაიარა. მარელისში ამ მატარებლით ვიღაც მომავალს ლაპარაკში უხსენებია იქაურ ოფიცრისათვის, 142 ვერსზე, ხიდ ქვეშ რაღაც ურიალობა ვნახეო. ოფიცერმაც ტელეფონით ეს ამბავი აცნობა ზელაგორაში მეორე ოფიცერს. ზელაგორიდან გაუგზავნიათ ექვსი ჯარის კაცი,—მათი გაგზავნის მიზეზი არ იცოდა არავინ და ამიტომ ვერავინ ვერ ეტყოდა, რომ ხიდ ქვეშ მხოლოდ მეთევზეები არიან. ურიალობის ამბავი არც უთქვამთ არც გზის ოსტატისათვის, არც მის თანაშემწეებისათვის, თუმცა ისინი პასუხის მგებელნი არიან, რომ ლიანდაგზე არაფერი უბედურება არ შემთხვეს არავის. ჯარის კაცები მისულან 142 ვერსზე და შორიდან, საიდანაც ადამიანის დანახვა შეიძლებოდა და ადამიანს ხმის გაგონება კი არა, აუტეხიათ გაბმული სროლა მეთევზეებისაკენ. ამ სროლის შემდეგ აღმოჩნდა მოკლული ერთი 40 წლის გლეხი ფუტკარაძე, რომელსაც თურმე ხელში ბადე ეჭირა, ახალუხი გადაკეცილი ჰქონდა, ფეხი გახდილი და წყალში დასველებული. ამას გარდა მოკვდა 14 წლის ბავში, სანდრო ცხოვრებაძე, რომელსაც ოთხი ტყვია აქვს მოხვედრილი, და ერთი ახალგაზრდა, ჯარში ნამსახური ვაჟკაცი,—ადგილობრივ დარაჯის უფროსი. მძიმედ დაიჭრა ერთი კაცი და მსუბუქად კიდევ შვიდი. ოთხიოდე კაცი და ბავშვი დაატუსაღეს, ისე რომ იქ მყოფებში თავის დაღწევა ვერავინ ვერ მოასწრო.

მეორე დღეს ჩამოვიდა გამომძიებელი და გამოარკვია საქმის გარემოება. ჯარის-კაცებს თურმე შეცდომით უსვრიათ თოფი. „ტაბაობაზე“ მოგროვილი ქალი და ბავშვები და მეთევზეები რკინის გზის ხიდის ასაფეთქებლად შეურიცხნი ეგონათ. რაკი არც რკინის გზის მოსამსახურეებისათვის უკითხავთ რამე და ახლოც არ მისულან მეთევზეებთან, ამიტომ ვერ დაინახეს, რომ უდანაშაულო ხალხს ესროდნენ შორიდან. სროლის შემდეგ მიწაზე გაწოლილი ფორთხით და, თავის სროლით მისულან ჯარის-კაცები ხიდთან და რაკი დარწმუნდნენ, რომ იქ მყოფი ხალხი უიარაღო იყო, დაუჭერიათ ყველა, ვინც დაუხვდათ ხიდ ქვეშ ცოცხალი მეთევზეებში. ამბობენ, ჯარის-კაცებს თავს პატრონამდე დაუცლიათ ამ სროლაში.

დახოცილების დედ-მამა და ნათესავები მწარე ტირილით ეხვეწებოდნენ ყველას, გვიშუამდგომლეთ, სადაც ჯერ არს, რომ დაისაჯოს ყველა ამ უბედურების ჩამდენიო.

ხორაგაულელი.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

6 მაისი

ვაშინგტონი. ვლადივოსტოკში გამწესებული ამერიკის ვაჭრობის აგენტი გრინერი დეპეშით იუწყება, უცხოეთის ყველა აქაურ სავაჭრო აგენტებს წინადადება მისცეს, ციხეს განშორდით და პრიმორსკის ოლქის ქალაქებში გადასახლდითო. ხაბაროვსკში გადასახლებული გრინერი ვაშინგტონში გაიხმეს.

პეტერბურგი. სხვადასხვა გვარის ჯარების შესავსებლად და საომარ ფეხზე დასაყენებლად უმაღლესად ნაბრძანებია ცხენების საზღვროდ მოგროვება ვარშავისა, მოსკოვის, კიევისა და ყაზანის სამხედრო ოლქების მცხოვრებთაგან.

შანხაი. რუსების კრეისერი «პალლადა», პორტ-არტურში ჩაღუპული, იაპონელების გემებმა ამოიღეს

ვუნჯულინი. იაპონელებს ეტყობათ, რომ ჩრდილოეთისკენ მიმავალ გემებს უფრო მეტად ადევნებენ თვალყურს და არავის ატარებენ, რომ იმათ ბანაკების შესახებ რუსებს ამბავი არ მიუტანონ. წინად ჩინელი და უცხოელი ვაჭრები დაუბრკოლებლად ეზიდებოდნენ საქონელს აქედიქით, ეხლა კი საქონლითაც ვეღარავის გაუვლია. ეტყობა მოულოდნელ რაღასაც აპირებენ და თავის განზრახვას არ მალავენ. ამბობენ, ჯარს ცალმხარესა სწევენ, რომ ვლადივოსტოკისკენ გაგზავნონ. რამდენადაც ეს ამბავი დაუჯერებელია, იმდენად შესაძლოა, რომ დღეს-ხვალ იაპონელები საერთოდ წინ წამოიწევენ.

ტოკიო. ელიან, ბალტიის ესკადრა ამ კვირის ბოლოს, ანუ იმ კვირის დასაწყისს გაივლის ამოისა ანუ ფუჯოუსკენ. ესკადრის ნაწილი ხაინანის მახლობლად ეგულებათ. ჩინეთის მოხელენი უარს ამბობენ დეპეშათა გაგზავნაზე იმ მიზეზით, რომ ვითომც კაბელები იყოს გადაწყვეტილი.—იუწყებიან, რომ, აქაურ ზღვაოსანთა წრეების აზრით, პორტ-არტურთან ჩაძირული ჯავშნოსნების „პერესვეტი“-ს, „პოლტავა“-ს, „რეტვიზანი“-ს, „პობედა“-ს და კრეისერების „ბაიანი“-ს და „პალადი“-ს ამოღება და გასწორება შეიძლებაო. თვითეულს გემს მოუნდება 150000 გირვანქა სტერლინგი.—ჩრდილო კორეაში სათვალჩინო ამბებია მოსალოდნელი. ომის დაწყებიდანვე კორეაში მოვიდა 50000 მეტი იაპონელი.

პარიზი. ხონკოეს ნავთსადგურიდან როჟესტვენსკის ესკადრის გასვლის ცნობამ იაპონელებს ჩაუნერგა რწმენა, ბრძოლა ამ მოკლე ხანში მოხდებაო. ჰგონებენ, რომ როჟესტვენსკიმ ნახშირი და სურსათი დაუდო და სრულიად მზად არის მტერს თავს დაესხას.

პეტერბურგი. უმაღლესად ნაბრძანებია: I, გლეხთა მიერ მიწის მფლობელობის საქმის ხელმძღვანელობისათვის დაარსდეს კომიტეტი, ჩვენის ნდობით აღჭურვილ პირის თავმჯდომარეობითა და სამეფო კარის და საუფლისწულო მამულებისა, შინაგან საქმეთა ფინანსთა და იუსტიციის მინისტრებისა, სახელმწიფო კონტროლიორისა, მიწად მოქმედებისა და მოწყობის მთავარ სამმართველოსი და სხვათა, ჩვენ-მიერ არჩეულ წევრთა მონაწილეობით. II, ამ კომიტეტს დაექვემდებაროს: 1, ყოველი საქმე მიწის მფლობელობისა და გადასასახლებელთა შესახებ; 2. გლეხთა მიწის მფლობელობის საქმე, რომელიც აქამომდე მინისტრთა კომიტეტს ექვემდებარებოდა; 3, ხარჯთ-აღრიცხვანი გლეხთა მიწათმფლობელობისა და გადასასახლებელთა შესახებ, რომელთაც აქამომდე იხილავდა შეერთებული კრება კომიტეტისა და სახელმწიფო რჩევის საეკონომიო დეპარტამენტისა; 4, საკითხნი სამეურნეო კრედიტის დაწესებულებათა მოქმედების შესახებ; 5, წლიური ანგარიშები სახელმწიფო სათავად-აზნაურო, საადგილ-მამულო და საგლეხო საადგილ-მამულო ბანკებისა. III, კომიტეტის საქმეთა წარმოება დაევალოს ბანის მოწყობისა და მიწის სამფლობელოს მთავარ-გამგებელს. IV, კომიტეტის თავმჯდომარეს დაევალოს შემუშავება და წარმოდგენა დასამტკიცებლად ამ კომიტეტის დებულების პროექტისა. V. მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო გადაქმნილ იქმნას მიწად-მოქმედების მოწყობის მთავარ-სამმართველოდ, ამ წესით: 1, ამ სამინისტროს გამოაკლდეს და გადაეცეს ფინანსთა მინისტრს ყველა დაწესებულება სამთა-მადნო სამრეწველოების მცხოვრებთა, მიწით მოწყობის საქმის დამთავრება ახალ მთავარ-სამმართველოს დაევალოს; 2, ახალ მთავარ-სამმართველოს შეუერთდეს გადასასახლებელთა გამგებლობა შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან; 3, გადაეცეს იმავე მთავარ-სამმართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან საქმეები მიწად მფლობელობისა და მოწყობისა ინოროდცებისა (არა რუსთა) და სხვა-და-სხვა სახელის სოფლის მცხოვრებთა შესახებ. VI, გლეხთა მიწათ-მფლობელობის მოწყობის განსაკუთრებით საბჭოს მიენდოს შედგენა და წარმოდგენა დასამტკიცებლად დებულების ახალ სამმართველოს მოქმედების შესახებ და ინსტრუქციისა საგლეხო საადგილ-მამულო ბანკის სახელმძღვანელოდ. VII. ახალ სამმართველოს მთავარ-გამგებელს დაევალოს შეიმუშაოს და სახელმწიფო საბჭოს წარუდგინოს შესაწყნარებლად ამ სამმართველოს დებულების პროექტი და შტატი. VIII. უმაღლესის ბრძანებით 2 ივნისს 1903 წელს დაარსებული კომიტეტი საადგილ-მამულო კრედიტის შესახებ გაუქმებულ იქმნას.

დონის როსტოვი. ვლადიკავკასიის რკინის გზის გაფიცულმა მუშებმა, რიცხვით 3,000 კაცმა ერთად შეკრებილმა, სარკინიგზო ადმინისტრაციას შემდეგი მოთხოვნილებანი წარუდგინეს: ჯამაგირის მომატება 75 პროცენტით, ექვსი ოსტატის დათხოვნა, საჩუქარი ორჯელ, რომელიც უნდა უდრიდეს თვიურ ჯამაგირს, რვა საათის სამუშაო დღის შემოღებაო. მოთხოვნილებანი უარყოფილ იქმნა. ხალხი უინციდენტოდ დაიშალა.

სოსნოვიცი. ზევერცის ქარხნის მუშები გაიფიცნენ.

კოვნო. წუმწუმის ქარხნის მუშების ათის დღის გაფიცვა დასრულდა. ხელფასი მოუმატეს, სამუშაო დრო შეუმცირეს 10 საათამდე.

პეტერბურგი, 6 მაისი. ბეჭდვითი სიტყვის კანონების გადამსინჯველმა საგანგებო საბჭომ მოისმინა მოსკ. სამხატვრო თეატრის რეჟისორის ვლად. ნემიროვიჩ-დანჩენკოსი, პეტერბ. სალიტ. სამხატ. თეატრის რეჟისორის ევტიხი კარპოვისა, მოლჩანოვისა და საიმპერატორო თეატრის არტისტის მედვედევის აზრი დრამატიულ ნაწარმოებთა შესახებ. ყველა ესენი მოწვეულ იქმნენ, როგორც ექსპერტები სათეატრო საქმეებისა. ექსპერტებმა განაცხადეს დრამატიულ ნაწარმოებთ მეტად უკიდურეს მდგომარეობაში აყენებს სათეატრო ცენზურა. გარდა ამისა, შემავიწროვებელია პოლიციის ზედამხედველობა პიესების წარმოდგენების დროს პროვინციებში და სახალხო თეატრებიც უარეს ყოფაშიაო. ექსპერტ-ორატორების სიტყვას მოუნდა მთელი კრება და ამიტომ საბჭომ თავის აზრის გამოთქმა სხვა დროისთვის გადასდო.

პეტერბურგი. უმაღლესად ნაბრძანებია, აწინდელ და შესავსებლად: 5 მაისს 1903 წ. უმაღლესად დამტკიცებულ სახელმწიფო რჩევის აზრის თანახმად დაარსებულ სამაზრო პოლიციის დარაჯთა ურიადნიკებსა და სტრაჟნიკებს, როდესაც სამსახურის გამო საცხოვრებელ ადგილიდან წასვლა მოუხდება, სადაც ისინი მცირეს ხნით დადგებიან, ადგილობრივ მცხოვრებთაგან ბინა უნდა ეძლეოდეთ გათბობითა და განათებით.

მიწად-მოქმედებისა და მეურნეობის მინისტრი ერმოლოვი და სენატორი საბლერი სახელმწიფო რჩევის წევრად დაინიშნენ, უწმ. სინოდის პროკურორის ამხანაგად დაინიშნა თ-დი შირინსკი-შახმატოვი.

დროებითი რედაქტორი ფ. **გოგიჩაიშვილი.**
გამომცემელი **თ. პავლე ი. თუმანიშვილი.**

გამოსადეგი ცნობანი

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა ექიმი კ. გძელიშვილი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვის ექიმი ტატეოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა.

თვალის სამკურნალო. კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფლისის ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ელემიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) წრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ბ) ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 საღამოს 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 ს. 31 წ.)

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.) 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

დ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 9 წ. (11 ს. 7 წ.).

ე) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.).

ბათუმისაკენ: 1) დილის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. 22 წ. (8 ს. 20 წ.).

შორაპნამდე: ნაშუადღევის 1 ს. 20 წ. (2 ს. 18 წ.).

პირველად ქართულს ენაზე
✦ ყველასათვის საჭირო და სასარგებლო წიგნი ✦
უცხო ←— სიტყვათა ლექსიკონი
რომელშიაც შეკრებილ-განმარტებულია ათი-ათასამდე უცხო სიტყვა ყველასათვის გასაგების ენითა და მაგალითებით,—რუსულისა და უცხო ენათა საუკეთესო ლექსიკონებისა, სამეცნიერო წიგნებისა და ჩვენის ჟურნალ-გაზეთებიდან გამოკრებილ-შედგენილი **იოსებ იმედაშვილის** მიერ. წიგნს დართული აქვს ლათინური, ფრანგული, ინგლისური და სხ. „**უცხო ანდაზები** და **წინადადებანი**, რომელიც არა ერთგზის იხმარება ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში. წიგნი შეიცავს 1130 სვ., დაბეჭდილია სუფთად, კარგ ქაღალდზე და ღირს მხოლოდ 1 მან., საუცხოვო (ოქროს-ვარაყიან ასოებით დაბეჭდ.) კალენკორის ყდით—მანათ-ნახევარი. გასაგზავნი ხარჯი 30 კ. წიგნი ფას-დადებითაც შეიძლება გაიწეროთ. უმთავრესი საწყ. ტფილისში, ქვაშვეთის ქ., გამომცემლის წიგნთ-სავაჭროში. ადრესი: Тифлисъ, книжная торг. І. З. Имедашвили.
(10—6—1).

ბალანსი ტფილისის სამეურნეო ბანკისა

1 აპრილისათვის 1905 წლისა.

აქტივი.

	მან.	კაპ.
I. კასა (ქაღალ. და ოქრო-ვერცხლის ფული)	16702	75
II. მიმდინარე ანგარიშები: კერძო საკრ. დაწესებ.	56656	95
III. პირობა დადებული მიმდინარე ანგარიში სახელმწ. ბანკის ტფილისის განყოფ	1292	73
IV. სარგებლიანი ქაღალდები, საზოგადოების საკუთვნონი		
ა) უზრუნველ-ყოფილნი: . . 3233—00		
ბ) არა უზრუნველ-ყოფილნი 8322—00	11555	—
V. სარგებლიანი ქაღალდები, სათარიგო თანხის საკუთვნონი	8740	—
VI. განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცზე არა ნაკლებს უწერია ხელი	281596	88
VII. სოლო-ვექსილით გაცემული სესხი უზრუნველ-ყოფილი სიფლის უძრავის მამულით	500	—
VIII. პროტესტ-ქმნილი ვექსილები	4268	58
IX. განაღდება ვადიანი ქაღალდებისა, კუპ. და სხვ.	—	—
X. გირაოთი გაცემული სესხი:		
ა) სახელმწიფოს და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ ფას. ქაღალ. . . 18800—00		
ბ) არა-უზრუნველ-ყოფილ ქაღ . 66722—75		
გ) საქონელზედ . . . . 22016—00		
დ) სასოფლო-სამეურნეო ნაწარ. 6175—00	113714	25
XI. გარდახდილი პროცენტები	641	84
XII. %% კუპ., %% ქაღ. სათ. თანხ. საკუთ	550	04
XIII. დასაბრუნებელი ხარჯი	209	46
XIV. მოწყობა და მომართვა	1967	58
XV. კორესპონდენტები:		
ა) იმათის ანგარიშით (loro) 66382—97		
ბ) ჩვენის ანგარიშით (nostro) 23643—41	90026	38
XVI. ვერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღ	42	67
XVII. სხვა-და-სხვა დებიტორები	489	82
XVIII. მიმდინარე ხარჯები	4273	27
XIX. გადასატანი ჯამი	1283	22
ბალანსი	594331	42

პასივი.

	მან.	კაპ.
I. თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 784 წევრ. ნაღდ ფულ. შემოტ. ხვედრ ფულ. 10%-გან.	87921	—
II. სათადარიგო თანხა:	9715	25
III. %% კუპ. %% სარგ. ქაღ. სათად. თანხისა	—	—
IV. შემოტანილი თანხა:		
ა) მიმდინარე ანგარიშით . . . . . 203015—63		
ბ) ვადით . . . . 191472—12		
გ) უვადოთ . . . . 2100—00	396587	75
V. გარდამავალი თანხა	1546	10
VI. გარდასახდელი სარგებელი	1172	87
VII. სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავალისა	21	43
VIII. წევრთა მიერ შემოტანილი და უკან არ მოთხოვნილი საზოგად. წესდ. მე-12 და 13 §§-ის თანახმად	746	—
IX. გასაგზავნათ მიღებული თანხა	—	—
X. კორესპონდენტები:		
ა) იმათის ანგარიშით (loro) . . . . 18254—23		
ბ) ჩვენის ანგარიშით (nostro . . . . 62328—43	80582	66
XI. სპეციალ. მიმდინარე ანგარიში:		
სახელმ. ბანკის ტფილისის განყოფ. — —		
სხვა ბანკებში . . . . 20—30	20	30
XII. გადაგირავებული ვექსილები: ტფილ. სახ. ბანკის განყოფილებაში . . . . — —		
სხვა ბანკებში . . . . — —	—	—
XIII. წაუღებელი დივიდენდი წარსულ წლ.	3679	68
XIV. მიღებული სარგებელი	7528	34
XV. მოგება და ზარალი 1905 წლისა	50	—
XVI. წმინდა მოგება 1904 წ.	4760	04
ბალანსი .	594331	42
პასუხის-მგებლობა 784 წევრ. 10%-იან შემოსატანს გარდა	791289	—
საზოგადოებას აქვს შესანახად გარდაცემული ქონება	2600	—
თამასუქები საკომისიოდ	9173	57
უზრუნველ-ყოფილი კორესპ. ანგარიშით	3230	—

Дозволено цензурою, Тифлисъ, 6 мая 1905 г.
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“, ფრეილინის ქ., № 5.